გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

# ვერსია

ფასი 50 თეთრი

№125 (1020) 17 - 18 დეკემბერი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

## სამართალი

### როგორ უნდა დაიცვას მომხმარებელმა შელახული უფლებები

გვ. 7-8

# ვადამდელი არჩევნების ჩატარების ყველა შესაძლო სქემა



საპარლამენტო არჩევნების შემთხვევაში პარლამენტს „ოცნება“, ნაციონალები, ალასანიას, ბურჯანაძისა და თარხან-მოურავის პარტიები დააკომპლექტებს

გვ. 5

„ნაციონალური მოძრაობა და მიხეილ სააკაშვილი, ბოლო დროს, აგონიურ განცხადებებს ხშირად აკეთებენ, თუმცა გაუგებარია, რატომ თესენ პანიკას — ვისაც დღეს ვადამდელი არჩევნები არ აწყობს, ეს, პირველ რიგში, თავად ნაციონალური მოძრაობა და კოალიციიდან წასული ალასანიას პარტიაა. რიგგარეშე არჩევნები, ყველაზე მეტად, მაინც ხელისუფლების ინტერესებში შედის“

## ავიადაპირისპირების უცნობი დეტალები

რას ითხოვს „აირზენა“, ვინ არიან ავიაბაზრის მონოპოლისტები და რა პრობლემებს ქმნის აეროპორტის მმართველი კომპანია

გვ. 3




## შიდაკონფლიქტები საყდრისის დაცვის კომიტეტში

„ირმა ინაშვილის ბრალია, რაც საყდრისში მოხდა“ გვ. 2

## ჰომოსექსუალიზმი — გენეტიკური პრობლემა თუ აღზრდაში დაშვებული შეცდომა

გვ. 9



როგორ და როდის შეუძლია მშობელს აღმოაჩინოს შვილის სექსუალური გადახრა და რა მეთოდით უნდა ავიცილოთ თავიდან ჰომოსექსუალიზმი

## მეცამეტე კამერა — ბარიგების „თავშესაფარი“ ზონაზე

როგორ „ახიეს“ აზერბაიჯანელ ყარაბახას 3 ათასი ლარი მაყურებლის ლედის ოპერაციისთვის



გვ. 6

პატიმრის დღიური

# შიდაკონფლიქტები საყდრისის დაცვის კომიტეტში

## „ირმა ინაშვილის ბრალია, რაც საყდრისში მოხდა“



გიორგი იაშვილი

საყდრისის მცველები და მათი მოწინააღმდეგეები — კიდევ ერთი პრესკონფერენცია, რომელიც საყდრისის დაცვის კომიტეტმა გამართა, თუმცა საუბარი იყო არა იქ არსებულ მდგომარეობაზე, არამედ შიდადაპირისპირებაზე, რომელიც ნამდვილად არსებობს.

აფინანსებდა თუ არა კობა ნაყოფია საყდრისის გადარჩენის კომიტეტს? ამასთან დაკავშირებით საყდრისის კომიტეტის წევრმა, **ირაკლი მამალაძემ** კომენტარი პრესკონფერენციისას გააკეთა.

მამალაძემ, თავდაპირველად, აღნიშნა რომ ნაყოფიაზე საუბრისგან თავს შეიკავებდა, თუმცა შემდეგ გადაიფიქრა და თქვა, რომ დაფინანსება არა, მაგრამ კობა ნაყოფიასთან კონსულტაციები ნამდვილად ჰქონდა, დასამალი არაფერია, — განაცხადა ჩვენთან საუბრისას:

**„კობა ნაყოფია არ ეთანხმებოდა იმას, რომ საყდრისი დანგრეულიყო. ამასთან დაკავშირებით ჩვენ ერთნაირი პოზიცია გვქონდა, მას შევხვდი, თუმცა ასეთი კონსულტაციები სხვა პარტიებსა და პოლიტიკოსებთანაც გვქონდა, ჩემი და კობა ნაყოფიას საუბარს ნინო მიქიაშვილიც ისმენდა“.**

ამის შემდეგ ირაკლი მამალაძე ნინო მიქიაშვილს დაუპირისპირდა: **„ნინო მიქიაშვილმა ჩამოიყვანა ადა მარშანია და მისნაირები. ამ სახეების გამოჩენამ პროცესებზე უარყოფითად იმოქმედა, ადა მარშანიას რა გადაურჩენია, საყდრისი რომ გადაარჩინოს?“.**

მამალაძისვე თქმით, ნინო მიქიაშვილი პატრიოტთა ალიანსის აქტიური მხარდამჭერია და მას შემდეგ, რაც პროცესში პატრიოტთა ალიანსის ლიდერი ირმა ინაშვილი ჩაერთო, მათ მხარდამჭრები დაკარგეს.

**„ირმა ინაშვილი უპირისპირდება საყდრისის დაცვის კომიტეტს და ამბობს, თითქოს, ჩვენ ვართ რამეში დამნაშავე და ჩვენ გამო დაინგრა საყდრისი. ეს არის აბსურდი. რა, ჩვენ მოვაწერეთ ხელი რაიმე დოკუმენტს? პირიქით, ორი სასამართლო პროცესი მოვიგეთ. თუ ირმა ინაშვილი არ არის ხელისუფლებასთან გარიგებული, პირდაპირ ვაცხადებ, გამოვიდეს, როგორც დაპირდა ამომრჩეველს და საზოგადოებას, გამოათრიოს კულტურის მინისტრი თავისი კაბინეტიდან. (ეს მისი სიტყვებია — „გამოვათრევ კულტურის მინისტრს კაბინეტიდან“). ჩვენ ხელს არ ვუშლით. მაშინ დავრწმუნდებით, რომ მას ნამდვილად გული შესტკივა საყდრისზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ის საეჭვოდ ჩაერთო ამ პროცესებში, რის გამოც დავკარგეთ საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერა. პოლიტიკა, კონკრეტულად კი პატრიოტთა ალიანსი ამ პროცესებში ძალიან უხეშად გაერია“.**

**„ირმა ინაშვილის ბრალია, რაც საყდრისში მოხდა. საყდრისი იყო თვალთმაქცური გარიგება, 12 დეკემბერს მიიღეს დოკუმენტი და დოკუმენტის მიღებამდე საყდრისი იყო დანაღმული. წესით, დამცველები უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ დილის რვა საათზე უკვე აფეთქება მოხდა“.**

მამალაძის თქმით კულტურის სამინისტროსთან ამ საკითხზე შეხვედრა გაიმართა, თუმცა რეალური შედეგი ამას არ მოჰყოლია. მისი თქმით: **„კულტურის სამინისტროში ამბობენ, რომ ეს საკითხი მათ არ ეხებათ და საყდრისს ისტორიულ მაღაროდ მიიჩნევენ. ჩვენ ყველანაირად ვეცდებით, ეს პროცესები შეჩერდეს“.**



## 2015 წლის თებერვალში ისრაელში ბიზნესფორუმი „თბილისი-იერუსალიმი“ გაიმართება

თბილისის მერი დავით ნარმანია ისრაელის ქნესეთის ვიცე-სპიკერს იეჰიელ ხილიკ ბარს შეხვდა. შეხვედრას თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის უფროსი, ირაკლი ბერეკაშვილი ესწრებოდა.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო თბილისის მერის ვიზიტს ისრაელში. როგორც დავით ნარმანიამ განაცხადა, 2015 წლის თებერვალში ისრაელში დაგეგმილია ბიზნესფორუმი, „თბილისი-იერუსალიმი“, რომელსაც ქართველი და ებრაელი ბიზნესმენები დაესწრებიან. ფორუმზე ქართული მხარე პრეზენტაციით წარდგება და ებრაულ მხარეს საქართველოში არსებული ბიზნესგარემოს შესახებ ინფორმაციას მიაწვდის.

მხარეებმა ასევე განიხილეს ისრაელ-საქართველოს ურთიერთობები. როგორც ისრაელის ქნესეთის ვიცე-სპიკერმა აღნიშნა, ისრაელის ქნესეთი დაინტერესებულია, რომ ორი ქვეყნის ურთიერთობა კიდევ უფრო გაღრმავდეს და ახალ ეტაპზე გადავიდეს. დავით ნარმანიას განცხადებით, ისრაელ-საქართველოს განსაკუთრებული ურთიერთობა აქვს და ამის დასტურია ისიც, რომ ისრაელის ელჩს საქართველოში, იუვალ ფუქსს წლევანდელ თბილისობის დღესასწაულზე საპატიო თბილისელის წოდება მიენიჭა.

ქნესეთის ვიცე-სპიკერთან ერთად ისრაელის დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ ასევე ისრაელის ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი და ყოფილი მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი, ოფირ პინეს-პაზი, ებრაული ლობისტური ორგანიზაციის, JStreet-ის პირველი ვიცე-პრეზიდენტი საზოგადოებასთან ურთიერთობის დარგში, რახელ ლერნერი, ასევე საქართველო-ისრაელის ბიზნესპალატის პრეზიდენტი, იციკ მოშე და მსოფლიო ებრაული სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის პრეზიდენტი, ნათან როი.

ვერსიანიუსი

## ნაკრები ასეული ავღანეთში გააცილეს



ვაზიანის IV მექანიზირებული ბრიგადის სამწყობრო მოედანზე, ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში სამშვიდობო მისიაში მონაწილე ასეულის გაცილების ცერემონიალი გაიმართა.

საზეიმო ღონისძიება თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-სასულე ორკესტრმა საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის შესრულებით დაიწყო. IV მექანიზირებული ბრიგადის ნაკრები ასეულის პირადმა შემადგენლობამ და მოწვეულმა სტუმრებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის და საერთაშორისო მისიებში დაღუპული ქართველი სამხედრო მოსამსახურეების ხსოვნას.

გაცილების ცერემონიალს თავდაცვის სამინისტროსა და გენერალური შტაბის ხელმძღვანელი პირები, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის ატაშე, ვიცე-პოლკოვნიკი ბერნარდ ჰოპი, ნატო-ს სამეკავშირეო ოფისის სამხედრო წარმომადგენელი, პოლკოვნიკი მაქსიმილიან ედერი და ნატო-ს წევრი ქვეყნების სამხედრო ატაშეები დაესწრნენ.

საქართველოს თავდაცვის მინისტრმა მინდია ჯანელიძემ და საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა, გენერალ-მაიორმა ვახტანგ კაპანაძემ, ქართველ სამხედრო მოსამსახურეებს სიტყვით მიმართეს.

**„მისია არის ძალიან მნიშვნელოვანი და არსებითი, როგორც იმ რეგიონის სტაბილურობისთვის, ასევე ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებისთვის. ეს მისია ხელს უწყობს ჩვენი ქვეყნის დაახლოებას ჩრდილოატლანტიკურ ალიანსსა და საქართველოს შეიარაღებული ძალების ნატო-სთან თავსებადობის ამაღლებას. ეს ბიჭები მაღალ დონეზე არიან მომზადებულნი და ყველა შეფასებით მაღალი ქულები დაიმსახურეს. დარწმუნებულნი ვართ, მისიას თავს გაართმევენ მაღალ დონეზე და ჩვენი ქვეყნის სახელი კიდევ ერთხელ დაფასდება“,** — განაცხადა მინდია ჯანელიძემ.

ცერემონიალის დასასრულს პირადი შემადგენლობა მეოთხე ქვეითი ბრიგადის სამხედრო მოძღვარმა, მამა გაბრიელმა დალოცა.

IV მექანიზირებული ბრიგადის ნაკრები ასეული საერთაშორისო მისიას ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში მაზარ-ი-შარიფში, გერმანული კონტინგენტის დაქვემდებარებაში შეასრულებს.

ქართველმა სამხედროებმა მომზადება ნოემბერში დაასრულეს. მათ საქართველოში 13-კვირიანი წვრთნა, ხოლო გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, „ვილდფლეკენისა“ და „ჰამელბურგის“ სამხედრო ბაზებზე, 5-თვიანი სწავლება რამდენიმე ეტაპად გაიარეს. ჯარისკაცებს, გერმანელი ინსტრუქტორების მეთვალყურეობით, ბუნდესვერის ჯარისკაცებთან ერთად, ინდივიდუალური, ოცეულის, ასეულის დონის კომბინირებული და სიტუაციური წვრთნები ჩაუტარდათ. გერმანელი ინსტრუქტორების მიერ, სამხედროების მომზადების დონე და საბრძოლო მზადყოფნა კონკრეტული ამოცანების შესასრულებლად დადებითად შეფასდა.

*„პირველი“*

## შსს-მ მკვლელობა ცხელ კვალზე გახსნა

შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს, ისანი-სამგორის სამმართველოს და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, 1979 წელს დაბადებული კახა ფ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა მიმდინარე წლის 15 დეკემბერს, ღამით, ვარკეთილში, სუხიშვილების ქუჩაზე, ურთიერთშელაპარაკებისას, ცივი იარაღით ზურგის არეში სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა 1995 წელს დაბადებულ დავით ხ-ს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი კლინიკაში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, ბრალდებული მომხდარიდან რამდენიმე საათში „მეტრომშენის“ დასახლებაში დააკავეს.

გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველო სსკ-ს 108-ე მუხლით).

*„ვერსიანიუსი“*



## ხუდადოვის ქუჩაზე არასრულწლოვანმა გოგონამ შუახნის მამაკაცი მოკლა



აღნიშნულ ფაქტს შსს-ში ადასტურებენ. უწყების ინფორმაციით, არასრულწლოვანმა გოგონამ აუცილებელი მოგერიების დროს, თავდაცვის მიზნით დაჭრა მამაკაცი, რომელიც ადგილზე გარდაიცვალა. შსს-ს ინფორმაციით, არასრულწლოვანი სამართალდამცველებმა დაკითხეს და ხელწერილის საფუძველზე გათავისუფლებული.

## საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ვადა კვლავ ორი წლით გახანგრძლივდა



მისიის მუშაობა საქართველოში 2016 წლის 14 დეკემბრამდე გაგრძელდება.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია საქართველოში 2008 წლის სექტემბერში მას შემდეგ გაიგზავნა, რაც 2008 წლის აგვისტოში ევროკავშირის შუამავლობით, რუსეთსა და საქართველოს შორის 6-პუნქტიან შეთანხმებას მოეწერა ხელი.

სადამკვირვებლო მისიაში ევროკავშირის სხვადასხვა წევრი ქვეყნიდან 200-მდე დამკვირვებელი მუშაობს. სათავო ოფისი თბილისში მდებარეობს, რეგიონული ოფისები კი — გორში, მცხეთასა და ზუგდიდში. ევროკავშირის მისიას საქართველოში 2013 წლის სექტემბრიდან ტოივო კლაარი ხელმძღვანელობს. იგი პირადი გადაწყვეტილების საფუძველზე თანამდებობას მიმდინარე თვეს ტოვებს.

*„პირველი“*

## ექსკლუზიური ვერსია

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**ავიაკომპანია „ჯორჯიან ეარვეისის“ (აირზენა) წარმომადგენლებმა გაფიცვა შეწყვიტეს. სკანდალში, რომელიც „აირზენამ“ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მოუწყო და რის გამოც, რუსეთის მიმართულებით ფრენები შეწყვიტა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ჩაერია. მართალია, გაფიცვა შეწყდა, მაგრამ „აირზენა“ საპროტესტო აქციებით მაინც იმუქრება. უკმაყოფილების მიზეზი თბილისი-მოსკოვს შორის, რეგულარული ფრენების სიხშირეა. ავიაკომპანიის თანამშრომლები ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს „ჯორჯიან ეარვეისის“ გაკონტრების მცდელობაში ადანაშაულებენ და უწყების წარმომადგენლებთან დიალოგს აღარ აპირებენ. „აირზენას“ მენეჯმენტი ამჯერად პრემიერთან შეხვედრას ითხოვს.**

# ავიადაპირისპირების უცნობი დეტალები

**რას ითხოვს „აირზენა“, ვინ არიან ავიაბაზრის მონოპოლისტები და რა პრობლემებს ქმნის აეროპორტის მმართველი კომპანია**




### „აირზენას“ პროტესტის მოკლე ექსკურსი

ავიაკომპანია „ჯორჯიან ეარვეისის“ (აირზენა) წარმომადგენლებმა გაფიცვა 10 დეკემბერს დაიწყეს. მათი თქმით, ეკონომიკის სამინისტრო და სამოქალაქო ავიაციის სააგენტო, საქართველოს ბაზარზე უცხოური ავიაკომპანიების შემოსვლას უწყობენ ხელს. ასეთი მიდგომა „აირზენას“ განვითარების საშუალებას არ აძლევს, რის გამოც კომპანიის თანამშრომლებს უმუშევრად დარჩენა ემუქრებათ. „აირზენაში“ აცხადებენ, რომ საქართველოს ავიასისტემაში, თურქული ავიაკომპანიები მონოპოლიურ მდგომარეობაში არიან და მგზავრთა გადაყვანა-გადმოყვანის 70% სწორედ მათზე მოდის. პროტესტის ნიშნად, 10 დეკემბრიდან, „აირზენამ“ რუსეთის მიმართულებით ფრენები შეწყვიტა და სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს რვაპუნქტიანი მოთხოვნა წაუყენა: **„გაუქმდეს 8 ივლისს, რუსეთში გაგზავნილი ნოტა, რომლითაც რუსეთის ავიაკომპანიებს მიენიჭა შეუზღუდავი უფლება თბილისი-მოსკოვი-თბილისის მიმართულებით ფრენებზე; ასევე — საქართველოს საავიაციო ხელისუფლების მიერ, რუსულ ავიაკომპანიებზე გაცემული ფრენების ნებართვები; რუსეთთან საჰაერო მიმოსვლა აღდგეს იმ პირობებით, რაც იყო ფრენების შეწყვეტამდე (2006 წლის ნოემბერი); რუსეთთან მოლაპარაკებები შეწყდეს, სანამ სამოქალაქო ავიაციის სააგენტო არ გამოიყოფა ცალკე სტრუქტურად და არ დაკომპლექტდება იმ კვალიფიცირებული მუშაკებით, რომლებიც შეძლებენ მოლაპარაკებების გამართვასა და ქვეყნის ინტერესების დაცვას; გამოეყოს ავიაციის სააგენტო ეკონომიკის სამინისტროს და ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელ უწყებად, როგორც ეს მიღებულია მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში; გადადგეს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს უფროსი გურამ ჯალაღონია თანამდებობიდან, დაინიშნოს კვალიფიციური კადრი და სააგენტო დაკომპლექტდეს პროფესიონალი მუშაკებით; სააგენტოს ახალმა ხელმძღვანელობამ შეცვალოს წინა ხელისუფლების მიერ მიღებული ის ნორმატიული აქტები, რომლებიც ეწინააღმდეგება ქართული ავიაკომპანიების ინტერესებს; სასწრაფოდ აღუდგეს „ჯორჯიან ეარვეისს“ ფლაგმანის სტატუსი, რომელიც უსაფუძვლოდ გააუქმა წინა ხელისუფლებამ“.**

მას შემდეგ, რაც „აირზენას“ გენერალური დირექტორი, იასე ზაუტაშვილი, პროფესიონალი მფრინავები და ტექნიკოსები სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ხელმძღვანელს დაემუქრნენ, ამ უკანასკნელმა რვა პუნქტიდან, ერთი დააკმაყოფილა. გადაწყდა, რომ რუსული ავიაკომპანიები, თბილისი-მოსკოვი-თბილისის მიმართულებით, შეუზღუდავი რეისების განხორციელებას ვეღარ შეძლებენ. მხარეებს შორის მოლაპარაკებამდე, რუსული ავიაკომპანიები 14-ის ნაცვლად, კვირაში მხოლოდ 10 რეისს შეასრულებენ. „აირზენამ“ გაფიცვა მაინც არ შეწყვიტა, რადგან მათთვის მთავარი იყო სამოქალაქო ავიაციის სააგენტო ეკონომიკის სამინისტროს გამოყოფოდა და უპირველესად, ქართული კომპანიების ინტერესები გაეთვალისწინებინა. „აირზენას“ პროტესტი იმ გადაწყვეტილებას მოჰყვა, რომლითაც სამოქალაქო ავიაციის სააგენტომ ორ რუსულ ავიაკომპანიას, „აეროფლოტსა“ და „სიბირს“, თბილისი-მოსკოვი-თბილისის მიმართულებით, ფრენების სიხშირე 14-მდე გაუზარდა. **იასე ზაუტაშვილი** აცხადებდა, რომ სააგენტომ რუსეთის ფედერაციას შეუზღუდავი ფრენებისა და კომპანიების შემოყვანის მოთხოვნა დააკმაყოფილა: **„გვეუბნებოდნენ ერთს და სინამდვილეში, 31 იანვრამდე, ფრენების სიხშირე 10-დან 14-მდე გაუზარდეს. 13 ავიაკომპანიიდან, საქართველოში შემოსვლის ნებართვა ყველას მისცეს, რაც არა მარტო „აირზენას“, მთლიანად ქართული ავიაციის რუსეთის ხელისუფლებისთვის გადაფორმებას ნიშნავს“. სამოქალაქო** ავიაციის სააგენტოს ხელმძღვანელის, **გურამ ჯალაღონიას** განმარტებით, საქართველოში ფრენის ნებართვა 13 კი არა, 2 ავიაკომპანიას მისცეს. ამასთან, 31 იანვრამდე, 14 სიხშირე დროებით გასცეს, მაგრამ „აირზენასაც“ 14 სიხშირე ჰქონდა. შეხვედრა, რომელიც სამოქალაქო ავიაციის სააგენტოში ხმაურისა და დაპირისპირების ფონზე წარიმართა, შეთანხმებით დასრულდა. გურამ ჯალაღონიამ განაცხადა, რომ „აირზენამ“ რვაპუნქტიანი მოთხოვნა უკან წაიღო, რადგან სააგენტომ რუსული და ქართული ავიაკომპანიისთვის პარიტეტული ფრენის სიხშირე 10/10-ზე განსაზღვრა.

შეთანხმების მეორე დღეს „აირზენამ“ გაფიცვა კვლავ განაახლა. მიზეზი **იასე ზაუტაშვილმა** ახსნა: **„თბილისის აეროპორტი თურქეთის მფლობელობაშია, ხოლო ცა რუსეთის ხელში გადადის. გამოდის, ჩვენი ადგილი რეალურად აღარ არის, რადგან შესასვლელ-გამოსასვლელებზეც კი პრობლემებს გვიქმნიან“.**

ცაში ფრენების სიხშირის გამო, მიწაზე დაწყებული თითქმის ერთკვირიანი პრობლემა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა, **გიორგი კვირიკაშვილმა** გადაჭრა: **„რუსეთის მხარესთან ტექნიკური კონსულტაციების გამართვამდე, გაუქმდეს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ხელმძღვანელის მიერ, ზეწოლის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება. „აირზენას“ მხრიდან, ვითარების გამწვავება ნამდვილად პროვოკაციულ ხასიათს ატარებს“.**

გიორგი კვირიკაშვილის განმარტებით, მთავრობისთვის ულტიმატუმის ენა მიუღებელია. ეკონომიკის სამინისტროსგან ავიაციის სააგენტოს გამოყოფის საკითხს, მინისტრის თქმით, მთავრობა გადაწყვეტს, თუმცა თავად კვირიკაშვილი, ამის საჭიროებას ვერ ხედავს.

### საქართველოში 24 უცხოური და 11 ქართული ავიაკომპანიაა

**ვინ არის ქართული ავიაბაზრის მონოპოლისტი? როგორ ან რა შედეგით დასრულდა სკანდალი? შედგა თუ არა შეთანხმება მხარეებს შორის? რამდენად რეალურია „აირზენას“ მოთხოვნები და არის თუ არა ერთი ოჯახის საკუთრებაში არსებული, კერძო ქართული ავიაკომპანია მართალი საკუთარ პროტესტში? „ვერსია“ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ხელმძღვანელს, გურამ ჯალაღონიას დაუკავშირდა.**

**— საქართველოს ავიაბაზრის მონოპოლისტები თურქული კომპანიები არიან?**

— არ შეიძლება, საქართველოს ავიასივრცე ცალკე განვიხილოთ, მაგრამ არც ერთი ავიაკომპანია შეზღუდული არ არის. რამდენი სიხშირეც უნდა „აირზენას“, იმდენი სიხშირით აქვს ფრენის შესრულების უფლება, მათ შორის, ევროპის ნებისმიერი ქვეყნის მიმართულებით. რუსეთთან დაკავშირებით კი, გადავწყვიტეთ, რუსეთთან ტექნიკურ კონსულტაციებამდე, ფრენის სიხშირე 10/10-ის ნაცვლად, 14/14-ზე დაწესდა (14-14 სიხშირე რუსულ და ქართულ მხარეებს). ეს 14 სიხშირე რუსეთში ორ ავიაკომპანიას, „აეროფლოტსა“ და „სიბირს“ შორის განაწილდა. საქართველოდან კი 14-ვე სიხშირით, ფრენის უფლება „ჯორჯიან ეარვეისს“ აქვს. „აირზენას“ წარმომადგენლები მაინც აცხადებენ, რომ, რადგან ეკონომიკის სამინისტრო მათ წინააღმდეგ გამოდის, პრემიერ-მინისტრს მიმართავენ. მიმართონ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, პოზიცია არ შეიცვლება და რომელიმე ავიაკომპანიას უკეთეს პირობებს ხელოვნურად არ შეუქმნიან.

**— დაპირისპირება დასრულდა, მაგრამ „აირზენას“ გაფიცვა არ წყდება. ამ ვითარებაში ქართული ავიაკომპანია მართალია?**

— რა თქმა უნდა, არა და მხედველობაში მათი მოთხოვნები მაქვს. გავაანალიზეთ, რომ თითოეული მათგანი აბსურდულია და დაკმაყოფილება არ შეიძლება. თუ მთავრობა „აირზენას“ მოთხოვნებს დააკმაყოფილებს, გამოვა, რომ ქვეყანამ კურსი და პოლიტიკა უნდა შეცვალოს ტრანსპორტის დარგში.

**— თბილისის აეროპორტში არსებული მაღალი მოსაკრებელი ქართულ ავიაკომპანიებს სერვისს უძვირებს. არ ფიქრობთ, რომ ქართული ავიაკომპანიის პროტესტი ამანაც გამოიწვია?**

— მოსაკრებელი ყველა ავიაკომპანიისთვის ერთნაირია. არც გამოვრიცხავ, „აირზენას“ გარკვეული შეღავათებიც კი ჰქონდეს, მაგრამ ეს საკითხი აუცილებლად შესასწავლია. შეისწავლონ და კი ბატონო, თუ „აირზენა“ ხელოვნურად ჩააყენეს ცუდ პირობებში, უნდა გამოსწორდეს. მიმაჩნია, ეს არგუმენტი, ანუ ავიაკომპანიებისთვის დაწესებული მოსაკრებელი, სწორი არ არის, რადგან არ მგონია, თურქულმა „ტავმა“ გაბედოს და ცუდი პირობები ხელოვნურად დაუწესოს „აირზენას“.

**— ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით, სულ რამდენი ავიაკომპანიაა საქართველოს ავიაბაზარზე?**

— თურქეთს უფრო მეტი ავიაკომპანია აქვს, რომლებიც საქართველოში შემოდიან, მაგრამ ამას ვერ ავკრძალავთ. ვერც ჩვენს ავიაკომპანიებს აუკრძალავს ვერცერთი მხარე ამა თუ იმ ქვეყანაში შესვლას. დღეს საქართველოს ავიაბაზარზე, დაახლოებით, 24 უცხოური ავიაკომპანია ოპერირებს. ქართული კი, ოფიციალურად, 11 ავიაკომპანიაა რეგისტრირებული, თუმცა საერთაშორისო რეისებს ყველა ვერ ასრულებს.

**— როდის იგეგმება ტექნიკური კონსულტაციები რუსეთთან?**

— „აირზენას“ წარმომადგენლებმა 10 დეკემბერს კი გამართეს აქცია ავიაციის სააგენტოსთან, მაგრამ ორ დღეში, უკვე, ტექნიკური კონსულტაციები უნდა გაგვევლო რუსეთთან. ვიზები უკვე აღებული მქონდა, მაგრამ საპროტესტო აქციის გამო დავბრუნდი. მხოლოდ ფრენების სიხშირეზე კი არ უნდა გველაპარაკა, ვაპირებდით რუსეთის სხვა ქალაქებიც გახსნილიყო საქართველოსთვის. არ ვიცი ვის ინტერესებში შედიოდა ეს, მაგრამ აქციის შემდეგ, მოლაპარაკებები ჩაიშალა. არ ვიცი როდის განახლდება.

*დასასრული მე-4 გვერდზე*

## ვერსიანიუსი

# ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების საქმეზე დაკავებული მიხეილ ძაძამია პატიმრობიდან გათავისუფლდა



ადვოკატ გელა ქენქაძის განცხადებით, ძაძამია 2000 ლარის გირაოს სანაცვლოდ 14 დეკემბერს გათავისუფლდა. ქენქაძის განმარტებით, ეს საქმის დასრულებას არ ნიშნავს და პატიმრობა აღკვეთის ღონისძიების სხვა სახით — გირაოთი შეიცვალა.

საქართველოს მთავარი პროკურატურის ინფორმაციით: **„სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად აღკვეთის ღონისძიების სახედ გამოყენებული პატიმრობის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს ცხრა თვეს. მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულებმა მ. ძაძამიამ და კ. ხარშილაძემ გამოიყენეს მათთვის საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლება და აირჩიეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. მიუხედავად იმისა, რომ პროკურატურის მიერ საქმე სასამართლოში განსახილველად დროულად წარიმართა, ნაფიცი მსაჯულების შერჩევის რთული და ხანგრძლივი პროცესის დაწყების გამო ვერ მოხერხდა საქმეზე სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელება. ნაფიც მსაჯულთა განსჯადობას მიკუთვნებულ სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის დაწყებას მათი შერჩევის პროცედურა აჭიანურებს. როგორც სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს, შერჩევის სხდომაზე ცხადდება კანდიდატთა 40%, რაც ძალზე მწირი რესურსია ობიექტურ მსაჯულთა შესარჩევად. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებლობით საჭირო რაოდენობის ნაფიც მსაჯულთა შესარჩევად სასამართლოს უხდება დამატებით არაერთი შერჩევის სხდომის ჩატარება, რაც დაკავშირებულია დიდ დროსთან. ძაძამიას და ხარშილაძის ბრალდების საქმე სასამართლოში არსებითად განსახილველად წარიმართა ჯერ კიდევ 2014 წლის 17 სექტემბერს, წინასასამართლო სხდომა გაიმართა 22 სექტემბერს. მიუხედავად იმისა, რომ მას შემდეგ სამი თვე გავიდა, დღეს, სასამართლოს მიერ შერჩეულია მხოლოდ ერთი ნაფიცი მსაჯული, კიდევ ცამეტი შესარჩევია. ვინაიდან საქმეზე იწურება ცხრათვიანი საპატიმრო ვადა, პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე ბრალდებულ ძაძამიას მიმართ გამოყენებული იქნა არასაპატიმრო აღმკვეთი ღონისძიება გირაოს სახით. ნაფიცი მსაჯულების შერჩევის პროცესი გრძელდება, რის შემდეგაც დაიწყება საქმის არსებითი განხილვა. მიხეილ ძაძამიას ბრალად ედება სამსახურებრივი მოვალეობების არაჯეროვნად შესრულება მისდამი დაუდევარი დამოკიდებულების გამო, რამაც გამოიწვია ზურაბ ჟვანიას გარდაცვალება. ძაძამიას მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულია საქართველოს სსკ-ს 342-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რაც სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 4 წლამდე ვადით“.**

*„ვერსიანიუსი“*



# „სააკაშვილი გეგმებს მალე გაახმოვანებს“

## რისთვის ემზადებიან ნაციონალები და ვის რა იდეის გარშემო გააერთიანებს ექსპრეზიდენტი

რუსუდან შელია
557-100-768

**ნაციონალური მოძრაობა და მისი ლიდერი ექსპრეზიდენტი სტრატეგიას ცვლის და ხელისუფლებაში დაბრუნებას საზოგადოებაში ახალი პოლიტიკური პლატფორმის შექმნის ხარჯზე ცდილობს. მიხეილ სააკაშვილის თანაგუნდელები 2015 წლისთვის ახალი პოლიტიკური მოძრაობის შექმნასაც ვარაუდობენ. რისთვის ემზადებიან ნაციონალები და რა ტიპის პოლიტიკურ გადაჯგუფებებს იხილავს გაისად საზოგადოება, „ვერსიასთან“ მიმდინარე პროცესებს საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრი დიმიტრი შაშკინი აფასებს.**

— 2014 წელს ქვეყანაში მნიშვნელოვანი პოლიტიკური პროცესები განვითარდა, ამიტომ არ გამოვრიცხავ, 2015 წელს ახალი პლატფორმის ირგვლივ არაერთი პოლიტიკური ძალა გაერთიანდეს. ამ წელს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი გამოიკვეთა — ქვეყანას ახალი იდეები სჭირდება! მიხეილ სააკაშვილმა ამ საკითხზე ღიად ისაუბრა, რადგან მისთვისაც ნათელია, რომ უნდა გაჩნდეს იდეა, რომელიც არამხოლოდ ნაციონალური მოძრაობისთვის, სრულიად საზოგადოებისთვის იქნება მნიშვნელოვანი.

**— ვის აერთიანებთ ახალი პლატფორმის ირგვლივ, არასაპარლამენტო ოპოზიციას და ირაკლი ალასანიას გუნდს?**

— ახლა ახალი პოლიტიკური კოალიციის შექმნაზე არ ვსაუბრობ. ქვეყანაში ახალი მიდგომები უნდა ჩამოყალიბდეს და საზოგადოებაშიც სხვადასხვა მიმართულებით ინიციატივები გამოიკვეთოს. ქართულ პოლიტიკაში ახალი გზავნილების გაჟღერების დრო დადგა, რომელიც სწორედ ახალი პოლიტიკური პლატფორმის ნაწილი იქნება. ანუ, საზოგადოების კონსოლიდაცია უნდა მოხდეს არა ვიღაცის წინააღმდეგ, არამედ იდეების გარშემო. მიხეილ სააკაშვილი დღეს მზადაა, საზოგადოებისგან ახალი იდეები მოისმინოს.

**— იდეების გაზიარების ნაცვლად, ხალხი სააკაშვილის გასამართლებასა და ნაციონალური მოძრაობის აკრძალვას ითხოვს.**

— გასაგებია, მაგრამ სააკაშვილი საზოგადოებას აბსოლუტურად სწორ გზას სთავაზობს. ქვეყანა დაიღალა პოლიტიკური გაერთიანებებისგან, ამიტომ საჭიროა პოლიტიკური შეჯიბრი და იდეების გაცვლა. ქვეყნის განვითარებისთვის სწორედ ასეთი მიდგომაა მნიშვნელოვანი. ამ ორი წლის განმავლობაში ბევრ კითხვას გაეცა პასუხი. საზოგადოებამაც ნათლად დაინახა, რომ ნაციონალური მოძრაობის მისამართით გაჟღერებული ბრალდებები მხოლოდ ტყუილზე იყო დაფუძნებული. ხელისუფლებამაც უამრავი დაპირება არ შეასრულა. შესაბამისად, ბოლო ორი წელია საზოგადოება პოლიტიკურ რეალობას ფხიზლად აფასებს.

**— ამ სიფხიზლეში ნაციონალური მოძრაობის რეიტინგი არ გაზრდილა. რა პოლიტიკური სტრატეგია გაქვთ პოლიტიკური მოცემულობის შესაცვლელად?**

— სოციოლოგი არ ვარ, ამიტომ ვერ გეტყვით, რა რეიტინგი აქვს ნაციონალურ მოძრაობას. დანამდვილებით ვიცი, პოლიტიკური ვითარების შესაცვლელად მთავარი ხალხის განწყობაა. საზოგადოება გადაწყვეტს, იქნება თუ არა მისთვის მისაღები სააკაშვილის იდეები.

**— და არ გაქვთ ინფორმაცია, 2015 წელს, ახალი ძალის ლიდერობისთვის, აპირებს თუ არა სააკაშვილი საქართველოში ჩამოსვლას?**

— მიხეილ სააკაშვილის გეგმებზე ვერ ვისაუბრებ. მალე თავად გაახმოვანებს. ბუნებრივია, მასთან ხშირი კომუნიკაცია მაქვს. ზოგადად, საქართველოს მესამე პრეზიდენტი ნებისმიერ ადამიანთან კომუნიკაციისთვის მზადაა.

**— კომუნიკაცია პოლიტიკურ გადაჯგუფებებზეც დაწყებულია?**

— ახალი პოლიტიკური პლატფორმის შექმნამდე, პოლიტიკურ გადაჯგუფებებზე საუბარი ნაადრევია. ჯერ იდეა უნდა გაჩნდეს, რომლის ირგვლივაც საზოგადოება გაერთიანდება. საქართველოს მესამე პრეზიდენტი შეეცდება, პოლიტიკური სპექტრი იდეალების გარშემო გააერთიანოს. ეს ბუნებრივია, მოახდენს ზეგავლენას 2015 წლის პოლიტიკურ მოვლენებზე.

**— რა იდეას სთავაზობს მიხეილ სააკაშვილი საზოგადოებას?**

— დრო გვიჩვენებს. მოლოდინი მაქვს, რომ გაჩნდება იდეა, რომელიც საზოგადოების მაკონსოლიდირებელი გახდება. სააკაშვილმა პირველად სცადა იდეის გარშემო და არა ვინმეს წინააღმდეგ გაერთიანება.

**— მაგრამ სტილი არც სააკაშვილს შეუცვლია — ხელისუფლებაში დაბრუნებასა და „ერთი ადამიანის დასჯაზე“ საუბრობს. ამ ფონზე, ვინ დაიჯერებს ნაციონალური მოძრაობის ახალ იდეებს?**

— ყველა იმ კონტექსტს იგებს, რისი მოსმენაც სურს. სააკაშვილი რევანშისთვის არ ემზადება, მას ამის სურვილი არ აქვს და ეს არაერთ გამოსვლაში დაადასტურა. პოლიტიკური რევანშისგან ქვეყანა დაიღალა. სხვათა შორის, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროცესი მოახდენს 2015 წლის პოლიტიკურ ცხოვრებაზე გავლენას — საზოგადოებამ დაინახა, რომ რუსეთთან თამაში, დაჩოქება და კოჭის გაგორება ქვეყანას არაფერს აძლევს. განწყობის შეცვლის მიუხედავად, რუსეთი საქართველოს მიმართ პოლიტიკას არ ცვლის. პირიქით, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში იმ გეგმას ახორციელებს, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომის პერიოდში ვერ შეასრულა. რუსეთთან მოფერების გზით აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დაბრუნების ოცნებას წერტილი დაესვა!

**— ხელისუფლებას აქვს არგუმენტი, რომ ოკუპირებული ტერიტორიების ანექსია ნაციონალური მოძრაობის არასწორი პოლიტიკის შედეგია და ამ პროცესამდე 2008 წლის ომის შედეგად მივედით. ეს არგუმენტი ვერ იქნება საზოგადოებისთვის საკმარისი?**

— რა ნაციონალური მოძრაობა? ამ ქვეყანაში მართლა ხომ არ ბნელა? სად იყო ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებაში, როცა რუსეთმა ცხინვალი გაძარცვა? ეს ყველაფერი 90-იან წლებში ხდებოდა... რა როლი შეასრულა ნაციონალურმა მოძრაობამ, როცა გუდაუთა, გაგრა და სოხუმი წაგვართვეს? სამხედრო ან მსოფლიოს გლობალური პოლიტიკის ექსპერტებს ჰკითხონ, რა ხდებოდა 2008 წელს. რუსეთის ჯარი ფსოუზე იდგა და 2008 წელს შემოვიდა საქართველოში? ყველა ბრალდებაში 1% მაინც ხომ უნდა იყოს სიმართლე?! პატარა ბავშვს შეიძლება, მართლაც გაუჩნდეს განცდა, რომ ტერიტორიები 2008 წელს დავკარგეთ. 2008 წლის ომის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფი აშშ-დან ჩამოვიდა და თეთრი სახლის ადმინისტრაციისთვის ომის დეტალები გამოიკვლიეს. ისინი პროფესიონალი მომლაპარაკებლები იყვნენ. ამერიკაში ასეთი პროფესია არსებობს. დაისვა კითხვა — უნდა ესროლა თუ არა საქართველოს რუსებისთვის? თქვენ სახლის დერეფანში რომ შემოიჭრას მკვლელების ბანდა, რომელიც იცით, ადამიანებს აუპატიურებს და შემდეგ ხოცავს, თქვენ კი ამ დროს ოჯახთან ერთად სახლის მეორე სართულზე იმყოფებით და ხელში მხოლოდ ორლულიანი თოფი გაქვთ... ისიც იცით, რომ შემოჭრილებს ვერ გაუმკლავდებით, რადგან კარგად შეიარაღებულები არიან, ესვრით? ესვრით, რათა მეზობლები გააღვიძოთ, ბავშვებს გაქცევის შანსი მისცეთ... ამას პატარა ბავშვიც კი გაიგებს და მიკვირს, რატომ უჭირს საქართველოს ხელისუფლებას ამ ყველაფრის გაცნობიერება.

ექსკლუზიური ვერსია

# ავიადაპირისპირების უცნობი დეტალები

*მე-3 გვერდიდან*

### რას ითხოვს „აირზენა“?

საქართველოს ავიაბაზრის პრობლემებში კარგად ჩახედული პირების ინფორმაციით, „აირზენას“ არავითარი პრობლემა არ შექმნია მაშინ, როდესაც რუსეთის მიმართულებით ფრენები ჩარტერული რეისებით სრულდებოდა. სამაგიეროდ, პრობლემები და დისკომფორტი მგზავრებს ექმნებოდათ. კარასინი-აბაშიძის ფორმატში დაწყებული მოლაპარაკების შედეგად გადაწყდა, რომ თბილისი-მოსკოვი-თბილისის მიმართულებით, რეგულარული რეისები 2014 წლის შემოდგომიდან უნდა დაწყებულიყო. ფრენების სიხშირე მოგვიანებით განისაზღვრა — 10/10-ზე, სადაც რუსეთის მხრიდან 10 რეისს ორი კომპანია — „აეროფლოტი“ და „სიბირი“, ხოლო საქართველოდან — 10-ვე რესს, „ჯორჯიან ეარვეისი“ (აირზენა) განახორციელებდა. მოგვიანებით, ფრენების სიხშირე 14-მდე გაიზარდა, რასაც ქართული ავიაკომპანიის პროტესტი მოჰყვა.

დღეს, თბილისი-მოსკოვი-თბილისის მიმართულებით, რუსული და ქართული ავიაკომპანიებისთვის ფრენების პარიტეტული სიხშირე, 14/14-ზეა განსაზღვრული.

ამის მიუხედავად, „აირზენა“ მგზავრთა ნაკადის სიმცირეზე წუწუნებს და საქართველოს ხელისუფლებისგან ფლაგმანის პოზიციის განახლებას ითხოვს. არადა, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ავიასივრცეში ისევე დაუშვებელია მონოპოლისტი ნაციონალური კომპანიის არსებობა, როგორც ბაზრის მონოპოლისტი უცხოური კომპანიის. მოკლედ, „აირზენა“ საქართველოს მთავრობას ანტიმონოპოლიური კანონის დარღვევას სთხოვს.

„აირზენას“ მგზავრთა ნაკადი მხოლოდ რუსეთის მიმართულებით კი არა, საერთაშორისო რეისებზეც შეუმცირდა. საქმეში კარგად ჩახედული პირების ინფორმაციით, ეს ამ კომპანიის ცუდი სერვისისა და გაუმართავი საფრენი აპარატების ბრალია. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ქართველი და უცხოელი მგზავრები „აირზენას“ ნაცვლად, სხვა კომპანიის მომსახურებას ირჩევენ. მათი მოტივი ყველასთვის გასაგებია — ჯერ ერთი, ბილეთი გაცილებით იაფია და მეორე, მომსახურების დონეც მაღალია. სინამდვილეში, „აირზენას“ პროტესტი ასე იშიფრება: ქართული ავიაკომპანიის წარმომადგენლები, რუსეთის მიმართულებით რეგულარულ რეისებს აპროტესტებენ, რასაც კონკურენციის შეზღუდვითა და ავიაბაზარზე არსებული, უცხოური მონოპოლისტი კომპანიებით ხსნიან. არადა, შორიდან ისე ჩანს, თითქოს „აირზენა“ ისევ ჩარტერულ რეისებს ითხოვს, რაც ორივე მიმართულების მგზავრებისთვის საშინლად არაკომფორტული და ძვირია.

წლების განმავლობაში, „აირზენა“ ყოველთვის ქართული ავიაციის ფლაგმანად ითვლებოდა, მაგრამ ამას თავისი ახსნა აქვს. კომპანიის ერთ-ერთი დამფუძნებელი თამაზ გაიაშვილი, პრეზიდენტ შევარდნაძის პირადი პილოტი იყო, მეორე დამფუძნებელი კახი ასათიანი გახლდათ, რომლის მკვლელობის ერთ-ერთი ვერსია, სწორედ „აირზენაში“ შექმნილ ფინანსურ პრობლემებს უკავშირდებოდა. კახი ასათიანის მკვლელობა დღემდე გაუხსნელია. სულ სხვა სტატიის თემაა და ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანს, როგორ განდევნა და ჩაძირა სხვა უცხოური ავიაკომპანიები „აირზენამ“, ჯერ კიდევ შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს... ამიტომ, ამ კომპანიის ფლაგმანობა საბაზრო ეკონომიკის პრინციპებით კი არა, ძირითადად, მაშინდელი ხელისუფლების მაღალჩინოსნებისა და ქურდული სამყაროს ავტორიტეტების ლობირებით იყო განპირობებული...

რეალურად, საქართველოს ავიაბაზარზე სხვა პრობლემებია, რაც ნაციონალურ ავიაკომპანიებს განვითარების საშუალებას არ აძლევს. ესაა საქართველოს მთავრობასა და თბილისის აეროპორტის მმართველ, თურქულ კომპანიასთან გაფორმებული, კაბალური ხელშეკრულება, რომლის დეტალებითაც „ვერსია“ ჯერ კიდევ წელიწადნახევრის წინ დაინტერესდა და ჟურნალისტური გამოძიება ჩაატარა. წლების წინ, თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ტენდერში, მაშინდელი პრემიერ-მინისტრის, ზურაბ ჟვანიასა და პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის დედის, გიული ალასანიას ინტერესები გადაიკვეთა. ამ დაპირისპირებაში, ნაციონალურმა მოძრაობამ უპირატესობა პრეზიდენტის დედას მიანიჭა და აეროპორტის ტენდერში იმ თურქულმა კომპანიამ გაიმარჯვა, რომელსაც გიული ალასანია ლობირებდა. შედეგად, 2005 წლის 6 სექტემბერს, საქართველოს მთავრობასა და თურქულ „ტავ-ურბანს“ შორის, კონტრაქტი გაფორმდა.

„ტავ-ურბანმა“ საქართველოში, „ტავ-ჯორჯია“ დააფუძნა და სახელმწიფოსთან გაფორმებული კონტრაქტის მიხედვით, თბილისის აეროპორტის მართვის უფლება 20-წლიანი ვადით მიიღო. კონტრაქტითვე, თურქულმა კომპანიამ თბილისის აეროპორტის მშენებლობაზე 62 000 000 აშშ დოლარი, ბათუმის აეროპორტისთვის — 28 500 000 აშშ დოლარი დახარჯა. აეროპორტების მშენებლობისთვის თურქულმა „ტავ-ჯორჯიამ“ ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკისგან („იბიარდი“) და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციისგან 27 000 000 27 000 000 აშშ დოლარის სესხი აიღო. „ვერსიის“ წყაროს ინფორმაციით, ეს სესხი, ჯამში, ისევ სახელმწიფოსა და მგზავრების გადასახდელი გახდა. მას შემდეგ, რაც დღის წესრიგში ახალი აეროპორტის აშენება დადგა, აეროპორტის მოსაკრებელიც გაიზარდა, რაც თითო ბილეთზე 22 აშშ დოლარით განისაზღვრა. ნებისმიერი მგზავრი, რომელიც თბილისის აეროპორტიდან მიფრინავს, დამატებით 22 დოლარს იხდის და ეს თანხა აეროპორტის მმართველ კომპანია „ტავ-ჯორჯიას“ რჩება. თუ თბილისის აეროპორტი საათში 1 500 მგზავრითაა დატვირთული, გამოდის, რომ მხოლოდ მოსაკრებლის სახით, თურქული კომპანია უზარმაზარ მოგებას იღებს.

გარდა ამისა, 22 საათიდან დილის 6 საათამდე, არათურქული ავიაკომპანიებისთვის აეროპორტის მიერ გაწეულ მომსახურებას 25% ემატება, თურქული კომპანიებისთვის — 10%. მაგალითად, იმ ბოინგების ტექნიკური მომსახურება, რომლებიც დღეს ყველაზე ხშირად დაფრინავენ თბილისის აეროპორტიდან, არათურქულ კომპანიას 765 დოლარი უჯდება, თურქულს კი — 650. თუ არათურქული ავიაკომპანიისთვის მგზავრთა მომსახურება 415 აშშ დოლარი ღირს, თურქული კომპანიისთვის ეს მომსახურება მხოლოდ 340 აშშ დოლარია.

# ვადამდელი არჩევნების ჩატარების ყველა შესაძლო სქემა!

ნინო კომახიძე
599-95-33-16




**ნიკა რურუას ორგანიზაცია „ივერიამ“ საგანგებო გაცხადება გაავრცელა, სადაც საუბარი ხელისუფლების მიერ კულუარებში დაგეგმილ ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებზეა: „ჩვენთვის სარწმუნო წყაროებიდან ცნობილი გახდა, რომ რეგიონებში ადგილობრივი ხელისუფლების სტრუქტურებმა და ძალოვანი უწყებების წარმომადგენლებმა რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებისთვის მზადების დავალება მიიღეს: ადგილებზე ახალ საყრდენ ფიგურებს ეძებენ, საარჩევნო რეჟიმში მყისიერი გადასვლისთვის ემზადებიან... არსებობის გასახანგრძლივებლად, რეჟიმი მის არსენალში დარჩენილ უკანასკნელ საშუალებას იყენებს... ამის დაშვება არ შეიძლება, რადგან მმართველი რეჟიმი დაანგრევს საქართველოში ძლივსდამკვიდრებულ ნორმალურ, დემოკრატიულ საარჩევნო ციკლს, გარანტირებულად დააქცევს ქვეყნის ეკონომიკას და საბოლოოდ ჩააბარებს ჩვენს სამშობლოს ოკუპანტს! ამ დროს საზოგადოების წიაღში პატრიოტული პოლიტიკური ძალები ფორმირდება, რომლებიც მალე ხალხს წარმატებული განვითარების გზას შესთავაზებენ. საზოგადოება „ივერია“ საქართველოს ხელისუფლებისა და მმართველი კოალიციისგან კატეგორიულად მოითხოვს, ხელი აიღოს რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების ანტიდემოკრატიულ იდეაზე და ამის შესახებ საჯარო განცხადება გააკეთოს“.**

ასეთი განცხადება არც პირველია და, ალბათ, არც უკანასკნელი, მით უმეტეს, ნაციონალების ან მათთან ასოცირებული ძალების მხრიდან, თუმცა მხოლოდ ინკოგნიტო წყაროებზე დაყრდნობა და ისე საუბარი სულაც არ კმარა, ჭორები რეალობად იქცეს. ამ ტიპის ინფორმაციას კონსტიტუციური საფუძველიც სჭირდება. მთელი „ქართული ოცნება“, პარლამენტი, მთავრობა, პრეზიდენტი და „ფორმალურ მმართველად“ წოდებული ივანიშვილიც რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების ჩასატარებლად რომ იყოს მოწოდებული, კანონის შესაბამისი პროცედურების დაცვის გარეშე, მაინც არაფერი გამოვა. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჯერ ბიძინა ივანიშვილმა, შემდეგ კი ირაკლი ღარიბაშვილმა, გავრცელებული ხმების საპირწონედ, პირდაპირ განაცხადეს, ვადამდელი არჩევნები არ იქნებაო. ამ ინფორმაციის უარყოფა ივანიშვილმა ჯერ კიდევ პრემიერის პოსტიდან დაიწყო, ეს ჩემი სურვილი არ არისო. თუმცა ეს არც მის სურვილზეა დამოკიდებული. შემდეგ, ივლისში, როცა პრემიერმა ღარიბაშვილმა 7 მინისტრი ერთად შეცვალა, მოარულ ხმებს უპასუხა, ახალი კაბინეტის ნდობის საკითხი არ დადგებაო. მოქმედ პრემიერს ამ თემაზე კომენტარის გაკეთება ბოლოს ლარის კურსის მკვეთრი ვარდნისა და ხალხში გაჩენილი პანიკის გამო მოუხდა, როცა საუბარი მთავრობის მთელი ეკონომიკური გუნდის შეცვლისა და ღარიბაშვილის გადადგომის შესახებ დაიწყო — პრემიერმა მაშინაც დაადასტურა, არც მე მივდივარ სადმე და არც მინისტრებს ვუშვებო. თუმცა მხოლოდ ხელისუფლების განცხადებების იმედად რომ არ ვიყოთ, თავადაც შეგვიძლია გავარკვიოთ, რა შემთხვევაში, ვის და რა მექანიზმით შეუძლია ვადამდელი არჩევნების დანიშვნა ან ხელოვნური კრიზისის გამოწვევა, რაც ასევე რიგგარეშე არჩევნებით დასრულდება.

## ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარების 5 შესაძლო სცენარი

სამარი ან საგანგებო მდგომარეობა, რომელსაც პრეზიდენტი მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში აცხადებს, მოსახლეობის უდიდესი ნაწილის მოთხოვნა, ბიუჯეტის ჩავარდნა-ჩაგდება, პრემიერის გადადგომა, „სამთავრობო კარუსელი“ ანუ მინისტრთა კაბინეტის ნახევარზე მეტის შეცვლა და ახალი კაბინეტისთვის პარლამენტის მიერ უნდობლობის გამოცხადება, მთავრობის უნდობლობის საკითხის ვერდაძლევა და პარლამენტის დათხოვნა პრეზიდენტის მიერ — ეს ყველა შესაძლო კონსტიტუციური მეთოდია, რომლის მიხედვით, ვადამდელი არჩევნების ჩატარება რეალურია. რა შემთხვევაში და ვინ ნიშნავს ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს — კანონებს უფრო პოპულარულ ენაზე იურისტი, „მომავლის ინიციატივების“ ხელმძღვანელი **ლევან ალაფიშვილი** გვიხსნის და შემდეგ სცენარებს ვიღებთ:

**1. მთავრობის მიერ წარდგენილი ბიუჯეტის არდამტკიცება პარლამენტის მიერ,** რომლის ჩავარდნის შემთხვევაში, პრეზიდენტი თავად წყვეტს, სახლში მთავრობა გაუშვას თუ პარლამენტი. თუმცა ბიუჯეტი ცოტა ხნის წინ დამტკიცდა და დღეს ეს ვარიანტი აქტუალური აღარ არის.

**2. პარლამენტს აქვს ორი ბერკეტი: მთავრობის ნდობა-უნდობლობის საკითხი და მეორე, მთავრობის ვერ ან არდამტკიცების შემთხვევაში, პრემიერის გადადგომის საკითხის დაყენება.** ახალი პრემიერის შერჩევაში პრეზიდენტი და საპარლამენტო უმრავლესობა მონაწილეობენ. თუმცა შესაძლოა, პრეზიდენტის მიერ შერჩეულ კანდიდატს პარლამენტმა ნდობა არ გამოუცხადოს და არც პრეზიდენტმა დაასახელოს საპარლამენტო უმრავლესობის კანდიდატურა. თუმცა ეს ყველაფერი საჭირო იმ შემთხვევაში გახდება, თუ ირაკლი ღარიბაშვილი კიდევ 7 მინისტრს შეცვლის და ახალი კაბინეტის ნდობის საკითხს პარლამენტში დააყენებს. ამის შესახებ ინფორმაციის ამოკითხვა კონსტიტუციის 80-ე პრიმა და 81-ე მუხლებში შეიძლება. ირაკლი ღარიბაშვილის ე.წ. ლიმიტი კი, მიუხედავად არაერთი გადანაცვლებისა, კიდევ 7 მინისტრია, იმის გათვალისწინებით, რომ შსს, შესაძლოა, ორად გაიყოს და სტრუქტურულად, 19-ის ნაცვლად, 20 სამინისტრო მივიღოთ. აქვე, ამ პროცესებში პრეზიდენტს უდიდესი როლი აქვს: სწორედ იგი წყვეტს, ჩატარდება თუ არა რიგგარეშე არჩევნები და კრიზისის დროს, სახლში პარლამენტი წავა თუ მთავრობა. ჰოდა, თუკი პრეზიდენტი „ოპოზიციაშია“, მის გარეშე ვადამდელი არჩევნების ჩატარებას მთავრობა როგორ აპირებს, გაუგებარია.

**3. პრეზიდენტის „იძულება“, დაითხოვოს პარლამენტი და რიგგარეშე არჩევნები დანიშნოს.** ეს ვერსია იმ შემთხვევისთვის გამოდგება, თუ, ვთქვათ, ბიძინა ივანიშვილს ხელისუფლებაში დაბრუნება სურს. ახალ მინისტრთა კაბინეტთან ერთად, ან კაბინეტის ჩაგდების შემთხვევაში, ირაკლი ღარიბაშვილი გადადგება. ამის მერე, საგანგებოდ შეირჩევა პრემიერობის სუსტი, უცნობი, ან საყოველთაოდ მიუღებელი ადამიანი, რათა პარლამენტმა მისი კანდიდატურა აპრიორი ჩააგდოს — ასე პრეზიდენტს აიძულებენ, პარლამენტი დაითხოვოს და რიგგარეშე არჩევნები დანიშნოს.

**4. საყოველთაოდ ცნობილი კონსტიტუციის მეხუთე მუხლი, რომლის მიხედვით, ხელისუფლების წყარო ხალხია:** არსებობს თეორიული შესაძლებლობა, დაიწყოს ფართომასშტაბიანი აქციები ვადამდელი არჩევნების მოთხოვნით. თუ ამ მოთხოვნას პარლამენტის წევრთა უმრავლესობა დაემორჩილება, მაშინ, მინიმუმ, 76 ადამიანი დაწერს განცხადებას სადეპუტატო უფლებამოსილების მოხსნის შესახებ და პარტიული სიების მიხედვით დეპუტატობის შესაძლო კანდიდატებიც უარს იტყვიან პარლამენტში შესვლაზე. ამგვარად, პარლამენტი უუნარო ხდება და ინიშნება ხელახალი არჩევნები. ეს ძალიან ალოგიკური, თუმცა სავსებით კანონიერი გზაა რიგგარეშე არჩევნების დასანიშნად.

**5. საგანგებო ან საომარი მდგომარეობა:** პრეზიდენტი ამ გადაწყვეტილებას იმ შემთხვევაში მიმართავს, თუკი, ვთქვათ, მოეწყობა ტერაქტი, ფიზიკურად განადგურდებიან მთავრობისა და პარლამენტის წევრები. საომარი მდგომარეობა კი იმ შემთხვევაში გამოცხადდება, თუ ვთქვათ, ტერაქტს სამხედრო ოპერაციებიც მოჰყვება. ცხადია, აქ პოლიტიკური ინსინუაციები აღარაფერს ნიშნავს, რადგან ძალაუნებურად, ვადამდელი არჩევნებიც ცხადდება. თუმცა ეს ავტომატურად, სახელმწიფოებრიობის დასასრულს ნიშნავს, რაზეც, ალბათ, ნამდვილად არავინ ფიქრობს. ნებისმიერ შემთხვევაში, ამ ხუთი კონსტიტუციური, რეალური, პრაგმატული თუ დრამატული ვარიანტების გარდა, ბუნებაში არ არსებობს სხვა მექანიზმი, რომლის მიხედვით, ქვეყანაში რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების დანიშვნაა შესაძლებელი.

## რომელ პარტიებს დააზარალებს რიგგარეშე არჩევნები და ვინ დარჩება მოგებული

განცხადებებს ვადამდელი არჩევნების შესაძლო დანიშვნის შესახებ ყველაზე აქტიურად საპარლამენტო ოპოზიცია აკეთებს, თუმცა ამავდროულად, ნაციონალები მოვლენების ამგვარად განვითარებას გმობენ. ნიკა რურუას ორგანიზაცია კი ხალხისგან პირდაპირ მოითხოვს მხარდაჭერასა და მთავრობის იძულებას, რიგგარეშე არჩევნები არ ჩაატაროს. ხოლო ვადამდელ არჩევნებს, ყველაზე ხშირად, არასაპარლამენტო ოპოზიცია მოითხოვს, თუმცა მხოლოდ კვალიფიციური სუბიექტები — ნინო ბურჯანაძის პარტია, დავით თარხან-მოურავის ალიანსი, ლეიბორისტები. საგულისხმოა ექსმინისტრისა და საპარლამენტო ოპოზიციაში გადასული ირაკლი ალასანიას ბოლოდროინდელი ვარაუდიც — იგი ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების იდეის ხელისუფლებაში გაჩენას არ გამორიცხავს, თუმცა ამბობს, რომ ასეთი რამ თავად სულაც არ სურს. სამაგიეროდ, ამაზე ღიად საუბრობენ ნინო ბურჯანაძის თანაგუნდელ-მხარდამჭერები. მაგალითად, ჯონდი ბაღათურია ამტკიცებს, რომ სკანდალური „მოსმენების“ კანონის მიღებამ „ოცნებაში“ ვადამდელი არჩევნების ჩატარების იდეა მოამწიფა: **„ივანიშვილი და ღარიბაშვილი ვადამდელ არჩევნებზე ფიქრობენ, მაგრამ ჯერ ვერ ჩამოყალიბდნენ. რაც უფრო გვიან გადაწყვეტენ, მით მეტად დააზარალებენ ხალხს, ქვეყანასა და საკუთარ თავს, პოლიტიკური თვალსაზრისით. სწრაფად განახორციელონ რეფორმები, გააუქმონ მაჟორიტარული სისტემა და შეცვალონ სამარცხვინო საარჩევნო სიები. სიტუაცია უკვე ისეა ჩაბინძურებული, ამას, ვადამდელი არჩევნების გარდა, ველარაფერი უშველის“.** როგორც საზოგადოებრივი კომუნიკაციების მართვის სპეციალისტი **არჩილ გამზარდია** მიიჩნევს, არასაპარლამენტო ოპოზიციის აქტიურობა სრულიად ლოგიკურია — 2012 წლისგან განსხვავებით, მათ, ამჯერად, მეტი შანსი აქვთ. ნაციონალური მოძრაობა კი აგონიაში ჩავარდნილ მილევად ძალას ემსგავსება, რომელიც რიგგარეშე არჩევნებზე იმიტომ ყვირის, რომ მისი ყველაზე მეტად ეშინია. ვინ არიან დღეს ძირითადი პოლიტიკური მოთამაშეები კვალიფიციური სუბიექტებიდან: „ოცნება“, ნაციონალური მოძრაობა, ალასანიას თავისუფალი დემოკრატები, ბურჯანაძის პარტია, თარხან-მოურავისა და ირმა ინაშვილის პატრიოტთა ალიანსი. ჩამოთვლილთაგან, პარლამენტში მოხვედრის შანსი ყველას აქვს, თუმცა განსხვავებული პროპორციით. ჩვენს კითხვას, ვის აწყობს ყველაზე მეტად რიგგარეშე არჩევნები და ვის დააზარალებს მოვლენათა ასეთი განვითარება, გამზარდია ასე პასუხობს: **„ნაციონალური მოძრაობა და მიხეილ სააკაშვილი, ბოლო დროს, აგონიურ განცხადებებს ხშირად აკეთებენ, თუმცა გაუგებარია, რატომ თესავენ პანიკას — ვისაც დღეს ვადამდელი არჩევნები არ აწყობს, ეს, პირველ რიგში, თავად ნაციონალური მოძრაობა და კოალიციიდან წასული ალასანიას პარტიაა. რიგგარეშე არჩევნები, ყველაზე მეტად, მაინც ხელისუფლების ინტერესებში შედის. თანაც, ვადამდელი არჩევნები ხვალვე რომ ჩატარდეს, არა მგონია, ეს ამბავი საზოგადოებამ მაინცდამაინც გააპროტესტოს — პირიქით, ფინანსური დანახარჯის გარდა, ეს პროცესი ნეგატიურად სულაც არ მიმაჩნია. ვფიქრობ, ახლა უფრო ადეკვატური შედეგი დადგება, ვთქვათ, ნაციონალები 44%-ს ვეღარ აიღებენ და პარლამენტში შესვლის შანსიც მეტ პარტიას ექნება. ეს ის პარტიებია, თვითმმართველობის არჩევნებზე კვალიფიციური სუბიექტი რომ გახდა, მაგრამ წინა პარლამენტში ვერ მოხვდა. მმართველ კოალიციაშიც ბევრია ისეთი, ვინც, ხალხის აზრით, დეპუტატობას არ იმსახურებს. თუმცა ვადამდელი არჩევნები ყველაზე მეტად მაინც ხელისუფლებას აწყობს, ოღონდ კოალიციას და არა პარტია „ქართული ოცნებას“, რომელმაც ჯერ სრულად ჩამოყალიბება ვერ მოახერხა“.** მთავარ ინტრიგად კი კვლავ ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებაში დაბრუნება რჩება. არჩილ გამზარდიას აზრით, ეს მხოლოდ კრიტიკული იძულებით იქნება გამოწვეული და არა თავად ივანიშვილის სურვილით: **„კრიტიკული იძულების მომენტი შეიძლება მაშინ დადგეს, თუ ხალხის პროტესტი „ოცნების“ კოალიციის მიმართ იმდენად გაიზრდება, ყოფილი ხელისუფლების ანუ ნაციონალების დაბრუნების რეალური შანსი გაჩნდება. აქვე, კიდევ ერთი ვარიანტია: თუ მსოფლიო არ ცნობს საქართველოს ხელისუფლებას, რეალურ მმართველად ივანიშვილს მიიჩნევს და საქმის დაჭერასაც მასთან ამჯობინებს“.**

## ვერსიანიუსი

### შსს პიროტექნიკის გამოყენებისას სიფრთხილისკენ მოგვიწოდებს




შინაგან საქმეთა სამინისტრო, შობა-ახალი წლის დღესასწაულების მოახლოებასთან დაკავშირებით, მოსახლეობას პიროტექნიკის გამოყენების თაობაზე რეკომენდაციით მიმართავს.

სამინისტრო მოუწოდებს მოქალაქეებს, სიფრთხილით მოეკიდონ სადღესასწაულო ასაფეთქებელ საშუალებებს, გამოიყენონ ისინი ინსტრუქციის მიხედვით და მოარიდონ პიროტექნიკას არასრულწლოვანი პირები, რადგან აღნიშნული საშუალებების არასწორად გამოყენება ხშირად სავალალო შედეგებით — ჯანმრთელობის სხვადასხვა სიმძიმის დაზიანებებით სრულდება.

შინაგან საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს მოქალაქეებს, პიროტექნიკის გამოყენებისას მაქსიმალურად დაიცვან უსაფრთხოების წესები და გაუფრთხილდნენ საკუთარ და გარშემომყოფი ადამიანების ჯანმრთელობას.

*„ვერსიანიუსი“*

# მეცამეტე კამერა — ბარიგების „თავშესაფარი“ ზონაზე

## როგორ „აახიეს“ აზერბაიჯანელ ყარაბახას 3 ათასი ლარი მაყურებლის დედის ოპერაციისთვის



პატიმარი №0578

სასჯელაღსრულების დაწესებულება რაღაცით იმქვეყნიურ ცხოვრებას ჰგავს — ყველაფრისთვის პასუხისგება გიწევს და შესაძლოა, ისეთი რამეც გაგახსენონ, კარგად დავიწყებული რომ გგონია. როცა პატიმარი ზონაზე შედის, გამორიცხულია, იმ ორ თუ სამი ათას პატიმარში, რომელიც იქ ხვდება, ნაცნობი, უბნელი, ქალაქელი ან სოფლელი არ გამოერიოს და... დამთავრებული თემაა — მისი დოსიე მაყურებლებმა იციან. შესაბამისად, ისე გექცევიან, როგორც იმსახურებ. რა თვალითაც გიყურებს მაყურებელი, ისე გიყურებს მთელი ზონა.

„ქათმები“, „კაზიოლები“, „პეხოტა“... ეს ყველაზე არაპრივილეგირებული კასტაა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, მაგრამ არის კიდევ ერთი ჯგუფი, რომელსაც, ერთი შეხედვით, არანაირი პრივილეგია არ აქვს, თუმცა ზონის საშინაო თუ საგარეო ხარჯები მათზე გადადის. ესენი წამლის გამყიდველები, ანუ ბარიგები არიან. თუ ევროპულ და ამერიკულ ციხეში ბარიგა ერთ-ერთ გავლენიან პატიმრად ითვლება, საქართველოში მისი უფლებები განულებულია...

„გაუმარჯოს ძმას. რას აკეთებ ამ დილით, წამო, რამე ტკბილი ვჭამოთ, მე გეპატიჟები“, — უთხრა 2010 წლის თებერვლის ერთ დილას მაყურებელმა პატიმარ №0578-ს.

პატიმარმა ზონის „პირველ კაცს“ გაუღიმა, თავი დაუქნია და უხმოდ გაჰყვა. მაყურებელმა მე-13 კამერის კარი შეაღო. იმის მიუხედავად, რომ №0578 აგერ უკვე მეორე თვე იყო, რაც ზონაზე მიიყვანეს, მე-13 კამერაში პირველად შევიდა. ეს კამერა მატარებლის ვაგონივით იყო, გრძელი და ვიწრო, 40 კაცზე გათვლილი და მხოლოდ ერთი ფანჯარა ჰქონდა. ანუ, პრაქტიკულად, ჰაერი არ იყო. გარდა ამისა, ამ საკანში მხოლოდ აზერბაიჯანელები ისხდნენ. მაყურებლის შესვლისთანავე კამერა წამოიშალა და თავი დაუკრა, მაგრამ არავის მისალმებია, კამერის ბოლოსკენ გაემართა, ნარზე ჩამოჯდა და ჩუმად თქვა, ჩაი დაგვალევინეთო. რამდენიმე კაცმა ქაღალდის ყუთებისგან აწყობილი მაგიდა მაყურებლის წინ დადო, წამებში მაგიდაზე ტკბილეული გაჩნდა, ჩაი ხუთ წუთში მოიტანეს და მაყურებლის წინ ერთი აზერბაიჯანელი მორჩილად გაჩერდა.

„გაიცანი, ეს ჯემოა, აზერბაიჯანელების რეგიონს უყურებს. ჩვენი მაგარი ძმაა. დანარჩენებიც ჩვენი ძმები არიან, მაგრამ ხანდახან მაბრაზებენ“, — გააცნო მაყურებელმა ჯემო. პატიმრებმა თავი დახარეს, ხმა არავის გაუღია.

ტკბილეული მალე აითვისეს და კამერიდან გავიდნენ.

„მომისმინე. ის დაჩმორებული სასტავი რეგიონის მაყურებელთან ერთად რატომ ცხოვრობს და საერთოდ, აქ მარტო აზერები რატომ არიან?! ჩემს კამერაშიც არის აზერი, გვერდით კამერაშიც, აქ კი ადგილებია და თუ ავტონომია მიეცი, ისინი რატომ არ ჩამოგყავს აქ?!“, — კითხვები დააყარა №0578-მა მაყურებელს.

„ესენი ბარიგები არიან. შენსა და სხვა კამერებში კი ჩვეულებრივი, ჯიგარი აზერები სხედან. ბარიგებს ერთად მოვუყარე თავი. მაყურებელი ამათთან იმიტომაა, მუდმივად დაძაბულები იყვნენ, თვის ბოლოს გადაიხადონ და არ გაბლატავდნენ თორემ, ამათ თუ აიშვეს, ფული აქვთ, ვინმეს მოისყიდიან გარეთ და ველარ დავიჭერთ“.

„კი, მაგრამ, ამათ გარეთ ფული აქვთ, შენ აქ რა ხეირი?!“ — არ მოეშვა №0578.

„ყოველი თვის ბოლოს ბალნიჩკაზე ორი ათასი ლარის მედიკამენტები რომ მიდის, ტუბდისპანსერიდან მოყვანილ პატიმრებს კარაქი და თაფლი არ აკლიათ და აგერ, მე რომ პარლამენტს ვეწევი და ჩემებს კარტაზე ფული არასოდეს დაურიცხავთ, ეგ არის ხეირი. ტკბილეული გინდა კამერაში?! მოდი, ნახე ახლა რა მოხდება“, — თქვა მაყურებელმა და ისევ მე-13 კამერაში შებრუნდა.

„ეს ჩემი ძმაა, ახალი მოსულია ზონაზე, ცოტა დაბნეულია და ნამცხვარი ვაჩუქოთ. ზემოთ ზის, მეორე სართულზე და აურბენინეთ“, — თქვა მაყურებელმა და კამერიდან გავიდა.

საკანში დაბრუნებულ №0578-ს თავის ნართან შვიდი ყუთი ნამცხვარი დახვდა, თანასაკნელებმა კი ღიმილით უთხრეს, ბარიგების კამერიდან ამოიტანესო...

ერთი კვირის შემდეგ №0578 და მაყურებელი მე-13 კამერაში ჩაის წრუპავდნენ, როცა №0578-მა ჰკითხა: „ჩემს გვერდით საკანში ერთი აზერია, ყარაბახას ეძახიან, ნამდვილი სახელია თუ კლიჩკა, არ ვიცი. ეგეც ბარიგააო, ამბობენ და აქ რატომ არ არის?! ახლა არ მითხრა, არ ვიცოდიო“.

„ჰოო... ყარაბახა სხვა შემთხვევაა. მაგას ძალიან დიდი მაყუთი აქვს. აქ რომ ჩამოვიყვანოთ, გაგვექცევა, სხვა ზონაზე წავა. ამიტომ, ცალკე გვყავს და ცივ ნიავს არ ვაკარებთ. მე ვიკითხო, ორ თვეში რომ გავდივარ სვაბოდაზე, თორემ თქვენ რა გიჭირთ, ყარაბახას აქ გიტოვებთ და რომ მოინდომოს, მთელ ზონას შეინახავს“, — გაეღიმა მაყურებელს.

ამ ამბიდან მეორე დღეს მაყურებელი ადმინისტრაციაში გადაიყვანეს და უთხრეს, დედაშენს სასწრაფო ოპერაცია დასჭირდა, არ ინერვიულო, საქმის კურსში გვეყოლებიო. ზონაზე დაბრუნებულმა მაყურებელმა მაშინვე სახლში დარეკა, გაარკვია, რომ საოპერაციოდ სამი ათასი ლარი იყო საჭირო, არ ჰქონდათ და უფულოდ ოპერაციას არავინ აკეთებდა.

„ყარაბახ, აქედან ორ თვეში გავდივარ. სამი ათასი მჭირდება დღესვე და აქედან რომ გავალ, ორ კვირაში დაგიბრუნებ“, — მაყურებელი ცდილობდა მშვიდად ელაპარაკა.

„აბა, საიდან მე სამი ათასი?! ეგ დიდი ფულია, ახლა კი გაჭედილი ვარ. აი, რაღაც მიწას ვყიდი და როცა გავყიდი, მოგცემ. ერთ-ორ კვირაში იქნება, რა“, — თავი მოისაწყლა ყარაბახამ.

მაყურებელს თვალები ჩაუსისხლიანდა და სანამ ვინმე რამეს მოასწრებდა, ყარაბახას მუცელში წიხლი ჩააზილა.

„ოთახიდან გაიყვანეთ. ამას მე დაველაპარაკები, თქვენც გადით“, — იყვირა №0578-მა და ბლატატამ საკანი დატოვა.

„მომისმინე, ყარაბახ, ქალი კვდება. იმას რომ რამე დაემართოს, ეს აქედან ორ თვეში რომ გავა, შეიძლება შენთან მივიდეს სახლში და მერე ხომ იცი, რა მოხდება. ჰოდა...“

„მივიდეს მერე, ჩემები ბაქოში არიან, აქ მარტო დედაჩემია, თითქმის ასი წლისაა, დღე-დღეზე მაინც მოკვდება“, — არ დააცადა საუბრის დამთავრება ყარაბახამ.

„შენ რომ გახვალ, ვახტაზე რომ დაგხვდეს და ყელი გამოგჭრას?!“

„მე ეგ კი არა, ჩემები აღარ დამხვდებიან მგონი, 28 წელი მაქვს“, — გაეცინა ყარაბახას.

„კარგი და, ახლა მე რომ ყავის კოლოფი გადავხსნა და ყელი გამოგჭრა, მაგაზე რას იტყვი?!“ — იღრიალა პატიმარმა და ყავის თუნუქის კოლოფი ნარის „უგოლნიკზე“ ჩამოახია, ხელის მტევნის ხორცის ნაწილი ზედ შეატოვა, სისხლი თქრიალით წამოუვიდა. სისხლის დანახვაზე ყარაბახა დაიბნა, კამერის კუთხისკენ ისკუპა და ხაფანგში მოყოლილი ვირთხასავით დაიწყო თვალების ცეცება. №0578-მა გაგლეჯილ ხელზე დაიხედა, თუნუქის ნაჭერი მეორე ხელში გადაიტანა და ყარაბახასკენ დაიძრა. მან კი ამოიგმინა: „მომისმინე ძმა, ვიღაცამ სიტყვა მომცეს, რომ ამ ფულს მაყურებელი თუ ვერ გადაიხდის, სხვა გადაიხდის და თანახმა ვარ“.

მაყურებელს მთელი ბლატატა თავდებად დაუდგა. ორ საათში მაყურებლის დედა საოპერაციო ბლოკში შეიყვანეს.

მაყურებლის გასვლის დროც მოვიდა. ყარაბახა ხელზე ჩამოეკიდა, მეათასედ გაუმეორა მისამართი, სადაც მას სამი ათასი ლარი უნდა მიეტანა და როცა პირობა მიიღო, ამ საღამოსვე მივიტანო, კამერაში მშვიდად ავიდა. მეორე დილით ყარაბახა №0578-ის კამერაში შეგორდა, ღიპი ნერვიულად მოიფხანა და დაიწყო: „მე შენ გენდე, მთელ ბლატატას, იმას კიდევ ფული არ მიაქვს, პასუხი ვინ უნდა აგოს, ეგ მაინც მითხარი“.

„ქურდულად უნდა მოსთხოვო, ყარაბახ. რას ჰქვია, ბლატატამ სიტყვა არ შეასრულა. ახლავე მაყურებლების კამერაში ჩადი, დაუსერიოზულე, მაგათ რამე ხომ არ ეშლებათ?!“, — უპასუხა №0578-მა და ყარაბახაც კამერიდან გავიდა.

ათ წუთში აზერბაიჯანელი ბარიგა ისევ №0578-ის კამერაში შევიდა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ სახე აწითლებული ჰქონდა, ტუჩი გახეთქილი და ტანსაცმელზეც ნაფეხურები ეტყობოდა: „ესენი ვინ არიან, კაცო, გადავირიე. შევედი, მეთქი, ჩემი ფული მაიტათ, თორემ ქურდებს ვეტყვი-თქო და სულ ბარიგა მიძახეს, სახეში პადლეცურები მირტყეს, მიმაპანღურეს და გამომაგდეს. ახლა ვარ ხო ბარიგა, გარეთ მაგათი ღმერთი ვიყავი“. ყარაბახას სიტყვის დამთავრება არ დასცალდა, №0578-მა ლაზათიანი სილა შემოარტყა.

„ღმერთი არა?! შენი წამლით სამი ბიჭი რომ მოკვდა, ეგ არაფერი, ხო? ნახევარი თბილისის ახალგაზრდობა შენი შემოტანილი წამლით რომ ილპობდა თავს, ეგეც არაფერი, ხო?!“, — იღრიალა №0578-მა და მეორე სილა მიაყოლა. ყარაბახა კამერიდან ნაცემი ძაღლივით გავიდა.

მეორე დილით №0578 ლაშა ბრეგვაძემ იხმო. ზონის დირექტორის კაბინეტში მაყურებლებს მოეყარათ თავი და რაღაცას კითხულობდნენ. „რა ხდება?!“, — იკითხა №0578-მა

„ყარაბახას საჩივარია. ფული დამაწერეს და ვიტყვი, რომ მაყურებლები ბრეგვაძესთან არიან შეკრულებიო. ეს ჩემთვისაც შარია და თქვენთვისაც. ან ყარაბახას როგორმე აჩუმებთ, რაც მე წარმოუდგენლად მეჩვენება, ან კიდევ ის სამი ათასი მოაგროვეთ და მიეცით“, — გამოაცხადა ბრეგვაძემ.

№0578-მა საჩივარს თვალი გადაავლო და ბრეგვაძეს შეხედა: „აქ კონკრეტულად ერთ ადამიანს, ახალ მაყურებელს უჩივის. დანარჩენებზე არაფერს ამბობს და შენ რა შუაში ხარ?!“

„დანარჩენი სიტყვით მითხრა. ეს განცხადება რეგისტრაციაში გამატარებინა. მოვაგვარებ, არავინ დაინტერესდება, მაგრამ ყარაბახა უნდა გაჩუმდეს“, — გამოაცხადა ბრეგვაძემ და მაყურებლები №0578-თან ერთად ზონაზე გაისტუმრა.

„ორი ვარიანტია, ან ფული უნდა შევაგროვოთ, ან ყარაბახა უნდა დავბრიდოთ, მაგის გაჩუმება გამორიცხულია“, — თქვა მაყურებელმა და სხვებიც დაეთანხმნენ, თუმცა...

„მესამე გზაც არის. ყარაბახას ვნახავ და ეგებ გამოვიდეს“, — ჩუმად ჩაილაპარაკა №0578-მა და აზერბაიჯანელი ბარიგის კამერისკენ დაიძრა.

„ვიცოდი, ტვინი არ რომ გქონდა, ყარაბახ, მაგრამ ასეთი უტვინო თუ იყავი, ნაღდად არ მეგონა. მაყურებელი სიცილით კვდება. 18 წელი სროკი მაქვს, გარეთ სახლი-კარი არ მაქვს, დედ-მამა მე არ მყავსო... შენც იცი, უპატრონო ბავშვთა სახლშია გაზრდილი და ყარაბახა სამი ათას ლარს რომ მთხოვს, მაგის გამო მაქსიმუმ ექვსი თვე დამიმატონ, 18 წელს კი ეგ სროკი არც შეეტყობაო. ჰოდა, იდიოტი ხარ შენ, იდიოტი“, — დაასრულა მონოლოგი №0578-მა.

„მაგის ექვსი თვე მე რაში მინდა?! ფული გადაიხადოს, რა“, — ლამის ატირდა ყარაბახა.

„ჰოდა, მაგას გეუბნები. არასწორი ადრესატი აირჩიე-თქო. კიდევ უნდა დაწერო განცხადებები, სამეგრელო-ზემო სვანეთის მაყურებელზე ცალკე და თბილისის რეგიონის მაყურებელზე ცალკე. შეფუცხუნდებიან, ორივე იჩალიჩებს ფულს და ვალიც დაგიბრუნდება“, — დაარიგა №0578-მა. ორ საათში ბრეგვაძეს კაბინეტში კიდევ ორი განცხადება ედო.

„ეს რა არის? სულ გაგიჟდი?!“ — გაოგნებული უყურებდა განცხადებებს ბრეგვაძე და №0578-ის ღიმილი კიდევ უფრო აგიჟებდა.

„პატივცემულო ლაშა, ახლა, თქვენ ამ განცხადებების საფუძველზე რომელიმე ოფიცერს დააწერინებთ პატაკს იმის შესახებ, რომ რამდენიმე დღის წინ ამ სამეულსა და ყარაბახას შორის მოხდა მცირე ინციდენტი, საქმე ფიზიკურ დაპირისპირებამდე არ მისულა, თუმცა იმ ოფიცერმა გაიგონა, რომ ყარაბახა მათ დაემუქრა, ცხოვრებას გაგიმწარებთო და ეს განცხადებები გაახლა. ამ ყველაფერს რეალური საფუძველი არ გააჩნია, არავის არავისთვის არაფერი გამოურთმევია და ყარაბახა ყველაფერს იგონებს. სხვა შემთხვევაში გეტყვიან, რომ შენს ზონაზე ხალხს ფულს აწერენ და ეჭვი მაქვს, გადაგაყოლებენ“, — აუხსნა №0578-მა. ბრეგვაძე კი მაშინვე მიხვდა ყველაფერს და პირველივე წინადადების შემდეგ კაბინეტში მორიგე ოფიცერს უხმო.

მეორე დღეს ყარაბახამ სხვა ზონაზე გადასვლა ითხოვა, აქ აღარავინ გამახარებსო. წასვლისას №0578-ის საკანს ჩაუარა გვერდით, თავი შეყო, პატიმარს მწარე ღიმილით უთხრა, ვინც შენ დაგიჭირა, მე იმის დედაცო და კორიდორს გაუყვა.

## ვერსიანიუსი

### შსს-ს სასაზღვრო პოლიციამ თაღლითობის ბრალდებით ორი პირი დააკავა




შსს-ს სასაზღვრო პოლიციის საგამოძიებო-ოპერატიული მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, რუსთავში მცხოვრები, 1990 წელს დაბადებული ვახტანგ ფ. და თბილისში მცხოვრები, 1971 წელს დაბადებული ინეზა დ. თაღლითობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულები მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, სხვადასხვა პირების დემოგრაფიული მონაცემების გამოყენებით, ელექტრონული განაცხადის შევსების გზით, თაღლითურად დაეუფლნენ სხვადასხვა საფინანსო-ორგანიზაციების კუთვნილ ფულად თანხებს.

გამოძიება თაღლითობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით).

### 2014 წლის იანვარ-ნოემბერში დანაშაულმა 16,43%-ით იკლო



შსს-ს ტერიტორიული დანაყოფების საგამოძიებო ქვემდებარეობის მიხედვით, 2014 წლის ნოემბრში შსს-ს ტერიტორიული დანაყოფების საგამოძიებო ქვემდებარეობის მიხედვით რეგისტრირებულია 2232 დანაშაული, რომელთაგან გაიხსნა 1473 დანაშაული. დანაშაულის გახსნის პროცენტია 65,99%. ხოლო წინა წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდთან შედარებით დანაშაულის პროცენტული კლებაა — 15,1%.

2014 წლის იანვარ-ნოემბრში კი, შსს-ს ტერიტორიული დანაყოფების საგამოძიებო ქვემდებარეობის მიხედვით რეგისტრირებული 24368 დანაშაულიდან, გახსნილია 16104 დანაშაული. დანაშაულის გახსნის პროცენტია 66,09%. ხოლო წინა წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდთან შედარებით დანაშაულის პროცენტული კლებაა — 16,43 %.

*„ვერსიანიუსი“*

სამართალი

# როგორ უნდა დაიცვას მომხმარებელმა შელახული უფლებები

**მომხმარებელთა უფლებების დაცვა ყოველთვის აქტუალური თემა იყო. არაერთხელ გაგვიგია: „ესა და ეს ცუდ სერვისს სთავაზობს საზოგადოებას“ ან „მეორედ ამ მაღაზიაში არ შევალ...“, – ყოველივე ეს დაკავშირებულია ქვეყანაში მომხმარებელთა უფლებებთან, რომელსაც ქართული კანონმდებლობა არეგულირებს და იცავს. თუმცა, მომხმარებელთა დიდმა ნაწილმა ნამდვილად არ იცის საკუთარი უფლებების თაობაზე და არც იმის შესახებ გააჩნია ინფორმაცია, როგორ იბრძოლოს მათ დასაცავად.**



როგორია „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ კანონის მოქმედება საქართველოში, რამდენად საჭიროა იგი, ან რამდენად იყენებს მას ქართული საზოგადოება საკუთარი უფლებების დასაცავად? - მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართლებრივ ასპექტებზე გთავაზობთ ინტერვიუს ადვოკატ **იოსებ შველიძესთან**.

- „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი თავისი ბუნებით ნამდვილად მნიშვნელოვანია, იქიდან გამომდინარე, რომ აბსოლუტურად ყველას ეხება, რადგან თითოეული ჩვენგანი ყოველდღიურ ცხოვრებაში და გარკვეულ ურთიერთობებში მომხმარებელია მომსახურების და პროდუქციის, ხოლო ის თუ რა სახის მომსახურებას ვიღებთ თუ პროდუქციას ვიძენთ, ამ ყოველივეს მოსაწესრიგებლად ზემოაღნიშნული კანონი უპირველესადაა გამოსაყენებელი. საზოგადოებამ ამ კანონის შესახებ მეტი უნდა იცოდეს, რადგან ის რეალობა, მომხმარებელთა უფლებების დარღვევის კუთხით, რაც დღეის მდგომარეობით საქართველოშია, ნაწილობრივ შესაძლოა, კანონის უცოდინრობითაც იყოს გამოწვეული.

არაერთხელ გამიგია, რომ მაღაზიაში თუ შედის პირი და რაიმეს მოირგებს ან შეათვალიერებს, შეკითხვას დაუსვამს გამყიდველს დიდ უკმაყოფილებას იწვევს მომსახურე პერსონალში. არადა, ეს ჩვენი, როგორც მომხმარებლის უფლებაა და გამყიდველი იქნება თუ მომსახურების მიმწოდებელი ამ ჩვენს უფლებას პატივისცემით უნდა მოეკიდოს. ეს უფლება მეორეს მხრივ, მისი მოვალეობაა.

როდესაც პროდუქციაზეა საუბარი აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო კოდექსში სპეციალური თავია მოცემული, რომელიც ეხება უხარისხო პროდუქციით გამოწვეული ზიანის პასუხისმგებლობის საკითხებს და აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროდუქტი უხარისხოდ ითვლება მაშინ, თუ იგი არ უზრუნველყოფს იმ საიმედოობას, რომელიც ყველა გარემოების გათვალისწინებით მოსალოდნელი იყო ამ პროდუქტისაგან.

კანონის თანახმად, მწარმოებლად მიიჩნევა ის პირი, ვინც აწარმოა საბოლოო პროდუქტი, ასევე ყველა, ვინც საკუთარი სახელით, სასაქონლო ან სხვაგვარი განმასხვავებელი ნიშნით გამოდის, როგორც მწარმოებელი, ხოლო თუ მწარმოებლის დადგენა შეუძლებელია, მაშინ ყოველი მიმწოდებელი მიიჩნევა მწარმოებლად.

***– ჩვენს პლანეტაზე ყოველდღიურად მატულობს მოსახლეობის რიცხვი. დემოგრაფიული მაჩვენებლები ყველა ქვეყანაში მაქსიმუმს აღწევს, ეს პროგრესია, მაგრამ ყველაფერს აქვს ორი მხარე უარყოფითი თუ არის ამაში რამე?***

- მთელ მსოფლიოში მოსახლეობის რიხვი მატულობს, განსაკუთრებით, განვითარებად ქვეყნებში და ხალხს გამოკვება უნდა. სამწუხაროდ, დედამიწის რესურსები გამოლევადია, მათ შორის მიწის რესურსიც. ნიადაგს უჭირს იმაზე მეტი მოსავლის მოყვანა, ვიდრე ხალხს სჭირდება. ამიტომ მეცნიერები გადავიდნენ ისეთი მეთოდების შემუშავებაზე, რომ მაქსიმალურად დიდი მოსავალი იყოს მიღებული. ლაბორატორიული კვლევების შედეგად დაიწყეს ისეთი ჯიშების მიღება, რომელიც კლიმატური პირობებისთვის საუკეთესოა. ეს არის გენმოდიფიცირებული პროდუქტი.

***– რითი განსხვავდება გენმოდიფიცირებული არაგენმოდიფიცირებულისგან?***

- უარყოფითი თვისება ის არის, რომ საბოლოო ჯამში, ჯერ მაინც არ არის დადგენილი რამდენად უარყოფითად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე გენმოდიფიცირებული პროდუქტი. ზოგადად, არის ცნება, რომ არაბუნებრივი პროდუქტი კვალს ტოვებს ორგანიზმში. გენური ინჟინერია ახალი მეცნიერებაა, ამიტომაც ადამიანის ორგანიზმზე უარყოფითი ზემოქმედების დადგენა ჯერჯერობით არ მომხდარა. ახლა მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ადამიანის ორგანიზმზე გენმოდიფიცირებული პროდუქტის გარკვეული ნაწილი შეიძლება დადებითად მოქმედებდეს, ნაწილი - არა.

***– 2014 წლიდან ახალი რეგულაცია ამოქმედდა – გენმოდიფიცირებულ პროდუქტზე უნდა იყოს მითითებული, რომ ის არის გენმოდიფიცირებული. საქართველოში რა მდგომარეობაა ამ კუთხით?***

- სამწუხაროდ, ასე მკაფიოდ არ არის დაფიქსირებული, რომ ყველა გენმოდიფიცირებულ პროდუქტზე უნდა იყოს აღნიშვნა, რომ ის გენმოდიფიცირებულია. არანაირი ოფიციალური კვლევა არ არსებობს პროფუქტის წარმომავლობის შესახებ. სამწუხაროდ სულ უფრო რთული ხდება ბიოლოგიურად სუფთა პროდუქტის მოყვანა. შესაბამისად, ასეთი პროდუქტის ფასი მატულობს. თუმცა, მოქალაქემ აუცილებლად უნდა იცოდეს, რა პროდუქტს იღებს და თვითონ განსაზღვროს, რა პროდუქტში რა ფასი გადაიხადოს.

***– სანამ გენმოდიფიცირებულ პროდუქტებს მივიღებდით, სოფლის მეურნეობის პროდუქტები ქიმიურად იწამლებოდა. არც ის არის ჯანმრთელობისთვის სასარგებლო. ქიმიური შეწამვლა მეტი მოსავლის მისაღებად ხდება?***

- სასუქი არის ბუნებრივი პროდუქტი, რომელიც მცენარეებისთვის უვნებელია. არსებობს ასევე ნიტრატები, რომლის საშუალებითაც უფრო კარგად იზრდება მცენარე. ყველამ იცის, როგორ უნდა გავარჩიოთ ნიტრატებით გაჯერებული პროდუქტი. სხვადასხვა პროდუქტს სხვადასხვა ნიშნები აქვს. სამწუხაროდ, გენმოდიფიცირებულ და ბუნებრივ პროდუქტს შორის ვიზუალურად არანაირი სხვაობა არ არის. უკვე დამტკიცდა, რომ ქიმიურად გაჯერებული პროდუქტების მიღება, ზიანს აყენებს ჯანმრთელობას.

***– განვითარებულ ქვეყნებში არის პროდუქტების სია, რომელიც აკრძალულია, არ აქვს მნიშვნელობა გენმოდიფიცირებულია თუ არა ის. საქართველოში თუ არსებობს მსგავსი „შავი სია“?***

- საქართველოში ასეთი პროდუქტების „შავი სია“ არ არსებობს. რა თქმა უნდა, საზღვარზე პროდუქცია მოწმდება და ნებისმიერი ეჭვის შემთხვევაში პროდუქცია მთლიანად ნადგურდება.

***– თუ არსებობს სპეციალური ლაბორატორია, რომელიც ამოწმებს შემოსულ პროდუქციას? უნდა ჰქონდეს თუ არა ქვეყანაში შემოსულ პროდუქტს რაიმე სპეციალური სერტიფიკატი ან დასკვნა, რომ ეს არის გენმოდიფიცირებული და რომ არ არის ჯანმრთელობისთვის მავნე.***

- ლათინურ ენაზე ან ქართულ ენაზე უნდა იყოს მითითებული პროდუქტი რა სახისაა და მწარმოებული უნდა იძლეოდეს ინფორმაციას, რომ იგი გენმოდიფიცირებულია. თუ არ არის ეს ნიშანი მაშინ სანიტარული ორგანიზაციები უნდა ახდენდნენ მის შემოწმებას და მთლიან პროდუქციას უნდა ედებოდეს შესაბამისის ნიშანი.

***– ხომ არ ფიქრობთ, რომ უნდა დაწესდეს რაიმე ტიპის შეზღუდვა ქვეყანაში შემოსულ გენმოდიფიცირებულ პროდუქტზე? მსგავსი ტიპის პროდუქტი ბაზრიდან დევნის ნატურალი პროდუქტს, რაც იმას ხომ არ ნიშნავს, რომ საქართველო საფრთხის ქვეშ დადგება და ბაზრიდან საერთოდ გაქრება ნატურალური პროდუქტი?***

- რა თქმა უნდა, მსგავსი ტიპის საფრთხე არსებობს, რადგან გენმოდიფიცირებული პრდუქტი უფრო გამძლეა, მისი მოსავალიც გაცილებით მეტია, ვიდრე ნატურალური პროდუქტისა, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მეცნიერება დაადგენს, რომ ესა თუ ის პროდუქტი ჯანმრთელობისთვის საზიანოა, მაშინ თვითონ მოსახლეობა განსაზღვრავს, რომელი პროდუქტია მისაღები მისთვის. მაგალითად, ბაზრობაზე უნდა იყოს ცალკე დახლები, სადაც გაიყიდება მხოლოდ გენმოდიფიცირებული პროდუქტი. ასეთი პრაქტიკა არსებობს მთელ განვითარებულ მსოფლიოში, ყველგან, ნებისმიერ სავაჭრო წერტილში გასაყიდ პროდუქციაზე მითითებულია მისი წარმომავლობა, მითითებულია, რომ ის არის გენმოდიფიცირებული ან ნატურალური, ყიდვის დროს მოსახლეობა თავად აკეთებს არჩევანს, როგორი ხარისხის პროდუქტი შეიძინოს. სამწუხაროდ, საქართველოში მსგავსი ტიპის რეგულაციებთან დაკავშირებით კანონი არ არსებობს.

***– გენმოდიფიცირებულ და ბიოლოგიურ პროდუქტთან დაკავშირებით კანონის მიღებას დიდი დრო არ სჭირდება...***

- რა თქმა უნდა, არ სჭირდება, მაგრამ არის ობიექტური მიზეზები. საქართველოში ჯერჯერობით სოფლის მეურნეობა არ არის განვითარებული. სახელმწიფოს ჯერ არ ამოუწურია ბუნებრივად მიღებული პროდუქტის რესურსი. გარდა ამისა, არის ეკონომიკური მხარეც. თითეული სახელმწიფო ინდივიდუალურად წყვეტს ამ პრობლემას. დადგენილია, რომ უფრო მეტ უარყოფით გავლენას ნიტრატები ახდენენ, ვიდრე ვთქვათ, გენმოდიფიცირებული პროდუქტი. მაგრამ, რატომღაც მოსახლეობა უფრო გენმოდიფიცირებულ პროდუქტში ხედავს პრობლემას.

***– პროდუქტის ვარგისიანობას შევეხოთ. მომხმარებელთა უფლებების კუთხით რომ შევხედოთ, როგორ უნდა მოვიქცეთ იმისთვის, რომ განვსაზღვროთ, რამდენად ვარგისია ან არა პროდუქტი?***

- ამ საკითხს კანონმებლობა არეგულირებს, თუ შევიძინეთ პროდუქტი და არ ვიცოდით მისი ნაკლი, ამ შემთხვევაში მაღაზია ვალდებულია უკან დაიბრუნოს იგი. მაგალითად, მინდოდა შემეძინა შავი ფერის ტელევიზორი და აღმოჩნდა რომ არის ვერცხლისფერი. ამ შემთხვევაში შემიძლია უკან დავაბრუნო ნივთი. სხვა შემთხვევაში მაღაზია არ დაიბრუნებს ნივთს და სწორიცაა.

***– სახლში მიტანის შემდეგ აღმოვაჩინე, რომ შეძენილი ნივთი უხარისხოა, ტრანსპორტირების ხარჯებს თუ ანაზღაურებს მაღაზია, სადაც ნივთი შევიძინე?***

- ყველა ბრენდირებულ სავაჭრო ობიექტს აქვს თავის ცენტრები, რომლებიც აკეთებენ დაზიანებულ ტექნიკას. ასევე, არსებობს შემთხვევები, როცა თვითონ მოდიან და ადგილზე აკეთებენ. ზოგჯერ მომხმარებელი იძულებულია, თვითონ წაიღოს ნივთი შესაკეთებლად. ამ შემთხვევაში მაღაზია ვალდებულია აანაზღაუროს ხარჯები.

***– როგორ უნდა დამტკიცდეს, რომ სწორედ შესაბამის სავაჭრო ობიექტზე ვიყიდეთ ნივთი?***

- ეს არის გადახდის ქვითარი. მომხმარებელს თუ დაკარგული აქვს ქვითარი, შეუძლია მივიდეს მაღაზიაში და იქ მოითხოვოს ეგზემპლარი, რომლითაც დასტურდება, რომ ესა თუ ის პიროვნება არის შემძენი. მოსახლეობას მოვუწოდებ, რომ შეინახონ გარკვეული პერიოდის განმავლობაში ქვითარი. თუ მაღაზია არის ბრენდირებული, მომხმარებელს პრობლემა ნაკლებად ექმნება. შესაძლებელია, მომხმარებელმა მიმართოს სასამართლოს და იქ მოითხოვოს სავაჭრო ობიექტისგან შესაბამისი დოკუმენტაციის გადაცემა.

***– კანონით „მომხმარებელთა უფლებების შესახებ“ რისი უფლება გვაქვს ჩვენ, მომხმარებლებს, ან რა ვალდებულებები გააჩნია პროდუქციის თუ მომსახურების გამყიდველს?***

- ყველა მომხმარებელს აქვს უფლება მოითხოვოს საქონლის, სამუშაოს ან სხვა სახის მომსახურების სტანდარტთან შესაბამისი სათანადო ხარისხი, პროდუქციის უსაფრთხოება, სრულყოფილი ინფორმაცია პროდუქციის ხარისხზე და მის მწარმოებელზე, ჩვენი უფლებაა, მოვითხოვოთ არასათანადო ხარისხის მქონე და ან მომხმარებლის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, ქონებისათვის საზიანო პროდუქციით თუ მომსახურებით გამოწვეული ზარალის ანაზაურება, ისევე, როგორც საკუთარი უფლებების დაცვა სასამართლოს მეშვეობით.

მომხმარებელს იმის უფლებაც აქვს და ეს საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ თუ მსხვილგაბარიტიან საქონელს, 5კგ-ზე მეტი წონისას აღმოაჩნდა ნაკლი, მომხმარებელს შეუძლია იგი შესაცვლელად, შესაკეთებლად, ჩამოსაფასებლად მიიტანოს გამყიდველის ხარჯებით, ანუ გამყიდველი ვალდებულია მომხმარებელს აუნაზღაუროს საქონლის მიტანისა და დაბრუნების ხარჯები.

თავის მხრივ, უხარისხო პროდუქტის მწარმოებელი პასუხს აგებს გამოწვეული ზიანისათვის. იმ შემთხვევაში თუ ზიანის დადგომა გამოიწვია დაზარალებულის ან მის ნაცვლად პასუხისმგებელი პირის ბრალეულმა მოქმედებამ, მაშინ მწარმოებლის ზიანის ანაზღაურების მოვალეობა მცირდება ან საერთოდ გამოირიცხება.

ქართული რეალობიდან გამომდინარე, საინტერესოა ის გარემოებაც, რომ მწარმოებელი ვალდებულია ჰქონდეს საქმიანობის პროფილისა და ორგანიზაციის ფორმების, საწარმო სახელწოდების და მუშაობის რეჟიმზე ინფორმაციის შემცველი აბრა, ხოლო მომხმარებელს სრული უფლება აქვს მოითხოვოს გამყიდველის მუშაობის რეჟიმი შეესაბამებოდეს მათ მიერ წინასწარ გამოცხადებულ პირობებს. კიდევ ერთი მოუწესრიგებელი საკითხი ქართული რეალობიდან: ხშირია შემთხვევები, როდესაც პირი იძენს მაღაზიაში რაიმეს და აღნიშნულის ყიდვის ფაქტის დამადასტურებელი სასაქონლო ქვითარი თუ ანგარიშფაქტურა არ გაიცემა, მაშინ, როდესაც კანონი მსგავსი დოკუმენტის გაცემას ავალდებულებს გამყიდველს. აქვე იმის აღნიშვნაც მსურს, რომ ვადაგადაცილებული საქონლით ვაჭრობა კანონით აკრძალულია, თუმცა ესეთი შემთხვევები ძალზედ ხშირია.

***– სასამართლოსათვის მიმართვისას რა შეიძლება მოითხოვოს მომხმარებელმა?***

- სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება გამყიდველისათვის, დამამზადებლისთვის თუ შემსრულებლისთვის ჯარიმის დაკისრების შესახებ, ხოლო საჯარიმო თანხა განისაზღვრება მომხმარებლის მოთხოვნის დაკმაყოფილების ნებაყოფლობითი წესის დაუცველობისათვის სარჩელის ფასის ოდენობით. მომხმარებელს შეუძლია მოითხოვოს საქონლის ნაკლოვანების აღმოფხვრა ან ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად გაწეული ხარჯების ანაზღაურება, შესასყიდი ფასის შესაბამისი შემცირება, ზარალის ანაზღაურება, ანალოგიური მარკის, მოდელის საქონელზე გაცვლა, იმავე სახის სხვა მარკის საქონლით შეცვლა ფასის გადაანგარიშებით.

***– თბილისში ხშირად ვაწყდებით შემთხვევას, როდესაც მაღაზიაში შემდეგი შინაარსის სპეციალური განცხადებაა გამოკრული: „გაყიდული საქონელი უკან არ ბრუნდება“. ეს რამდენად არის გამართლებული?***

- კანონის თანახმად, მწარმოებლის პასუხიმგებლობა უხარისხო პროდუქტისათვის არ შეიძლება წინასწარ არც გამოირიცხოს და არც შეიზღუდოს. ნებისმიერი სხვა შეთანხმება ბათილია. თუმცა აღნიშნული კანონის მოთხოვნას იგნორირებას უკეთებენ გამყიდველები.

***– პრაქტიკაში, რეალურ, ყოველდღიურ ცხოვრებაში იყენებს მომხმარებელი კანონს, რომელიც მის უფლებებს იცავს?***

- ასეთი რამ ნამდვილად არ გამიგია, ყოველ შემთხვევაში, ძალზე მწირია შემთხვევები იმისა, რომ მომხმარებელს საკუთარი უფლებების დასაცავად სასამართლოსათვის მიემართა და ამ კანონზე აპელირება მოეხდინა. პირიქით, ძალიან ბევრისგან გამიგია, რომ ან ძველი პროდუქცია იყიდა ან უხარისხო ნაწარმი იყიდა, ან თუნდაც ისეთი გავრცელებული შემთხვევა, როგორიცაა ჩვენი, ანუ მომხმარებლების ცუდი ხარისხის ინტერნეტით მომარაგება, მაშინ როდესაც ხელშეკრულებაში მიმწოდებელი უმაღლესი ხარისხის და სწრაფი ინტერნეტის მიწოდებაზე იღებს ვალდებულებას. ეს ნამდვილად ცუდი პრაქტიკაა, ერთი მხრივ, სამართლებრივი კუთხით სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის და მეორე მხრივ, უხარისხო პროდუქციისა თუ მომსახურების გამწევთა წახალისებისათვის. საქართველოში რატომღაც ერიდებათ მოქალაქეებს სასამართლოში წასვლა საკუთარი, მომხმარებლის დარღვეული უფლებების დასაცავად, არადა, განვითარებული და შემდგარი სამოქალაქო საზოგადოებისათვის დამახასიათებელი პირველი ნიშანია როდესაც მოქალაქე საკუთარ უფლებებს იცავს, ეს ერთგვარი პრევენციაცაა, იქიდან გამომდინარე, რომ თუ ჩვენ „სათანადოდ სამართლებრივად დავსჯით“ უხარისხო პროდუქციის მომწოდებელს თუ მომსახურების გამწევს, სხვა მისი მსგავსი ანალოგიურად მოქცევის სურვილს დაკარგავს.

***– როგორ გგონიათ, რა შეიძლება იყოს გამოსავალი?***

- გამოსავალი მარტივია: უპირველესად, ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოება უნდა ჩამოყალიბდეს, რათა მომხმარებელთა უფლებები სამართლებრივი კუთხით მოწესრიგდეს. მოქალაქეებს არ უნდა ერიდებოდეთ მსგავსი უფლებების დარღვევის შემთხვევაში სასამართლოსათვის მიმართვა. და მესამე, სასამართლოსთვის მიმართვა ეფექტური და ხელმისაწვდომი უნდა იყოს ჩვენი მოქალაქეებისთვის. აქ იმას ვგულისხმობ, რომ პროცესის ხარჯი, რაც მხარემ უნდა გასწიოს ელემენტარულად მისი მოთხოვნის საგანზე ძვირი არ უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მომხმარებელი სასამართლოს არ მიმართავს და მისი უფლება დარღვეული დარჩება ან რაიმე სხვა არასამართლებრივი გზით შეეცდება პრობლემის მოგვარებას.

# «მოქალაქეების სამართლებრივი მართლშეგნება ამაღლებულია»

## აცხადებს რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ქალბატონი მაია გიგაური, რომელთან ინტერვიუსაც ქვემოთ შემოგთავაზებთ




***– ქალბატონო მაია, რა კატეგორიის საქმეებს განიხილავთ რუსთავის საქალაქო სასამართლოში?***

- განვიხილავ როგორც სამოქალაქო, ასევე სისხლის სამართლის საქმეებს. ამჟამად, ვიხილავ სისხლის სამართლის საქმეებს, თუმცა ბოლო 2 წლის განმავლობაში ძირითადად ვიხილავდი სამოქალაქო სამართლის საქმეებს. ეს იმის მიხედვით, თუ როგორი დატვირთვაა სასამართლოში, რა რაოდენობით შემოდის ამა თუ იმ კატეგორიის საქმეები და შეიძლება დაგვევალოს ამა თუ იმ კატეგორიის საქმის განხილვა.

***– როგორ ხდება საერთოდ საქმეების განაწილება სასამართლოში? თუ მოქალაქეს შეაქვს სასამართლოში სარჩელი, შეუძლია მას მოითხოვოს კონკრეტული მოსამართლის დანიშვნა?***

- საქმეების განაწილება ხდება რიგითობით, მოქალაქეზე არ არის დამოკიდებული, ვის დაეწერება მისი საქმე. ეს არის აბსოლუტურად რიგითობაზე დამოკიდებული. რუსთავის საქალაქო სასამართლოში არის სამი კოლეგია: სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია. უფლებამოსილებას სასამართლოში ახორციელებს 7 მოსამართლე და საქმეებიც ნაწილდება კოლეგიებში რიგითობის მიხედვით, უბრალო ანბანური თანმიმდევრობით. საქმეები შედის თავმჯდომარესთან რეზოლუციით, მაგრამ ანაწილებს რიგითობით. ასეთი სისტემა მოქმედებს დღეს საქმეთა განაწილების კუთხით.

***– საქმის სირთულიდან გამომდინარე, შეიძლება ერთ მოსამართლეს ჰქონდეს 2 საქმე და მეორე მოსამართლეს ვთქვათ 3 ან 4. შეიძლება ასე თუ მაინცადამაინც თანაბარი უნდა იყოს?***

- ერთ მოსამართლეს შეიძლება ჰქონდეს 4 საქმე, მეორეს ორი, მესამეს შეიძლება 10, მაგრამ ეს იმის მიხედვით ხდება, რამდენს დაამთავრებს ესა თუ ის მოსმართლე, თუმცა განაწილება, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ხდება აბსოლუტურად რიგითობის მიხედვით, თანაბარი ოდენობით. სისხლის სამართლის საქმეები ნაწილდება სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში, სადაც უფლებამოსილებას ამჟამად ახორციელებს 3 მოსამართლე. სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაშიც ასევე 3 მოსამართლე ახორციელებს უფლებამოსილებას და სარჩელები ნაწილდება მათ შორის. რაც შეეხება ადმინისტაციულ საქმეებს, ჩვენ გვყავს 2 ადმინისტრაციული მოსამართლე, რომელთა შორის ნაწილდება ადმინისტრაციული სარჩელები, რა თქმა უნდა რიგითობით.

***– სასამართლო რეფორმის მიმდინარეობის შედეგი როგორ აისახა რუსთავის საქალაქო სასამართლოზე?***

- ევროპის განვითარული ქვეყნებიდან ჩამოსულ დელეგაციებს ძალიან მოსწონთ ჩვენი სისტემა. ძალიან ბევრი საკითხია ისეთი, რომლის მათ ქვეყნებში გადატანაც სურთ. მაგალითად, ელექტრონული სისტემის შემოღება, რომელიც ძალიან დახვეწილი ფორმით არის ჩვენს სასამართლო სისტემაში.

რაც შეეხება რეფორმას, მოგახსენებთ, რომ 2005 წლიდან მიმდინარეობს სასამართლო რეფორმა, რაც გამოიხატება სასამართლოს მოდერნიზაციაში, მოხდა სასამართლოების გამსხვილება, სპეციალიზაცია, შეიქმნა მაგისტრატი სასამართლოები, სადაც უფლებამოსილებას ახორციელებს მაგისტრი მოსამართლე. მოხდა სასამართლოების გამსხვილება, მაგრამ იმ რეგიონებში, სადაც მოსახლეობა მცირერიცხოვანია, იმისათვის, რომ უფრო ეფექტურად, სწრაფად და ხელმისაწვდომი იყოს ადამიანებისთვის მართლმსაჯულების განხორციელება. ამ მიზნით შეიქმნა მაგისტრატი სასამართლოები, სადაც უფლებამოსილებას ახორციელებს მაგისტრატ სასამართლოში.

ასევე რეფორმის პირობებში შეიქმნა სპიკერი მოსამართლის ინსტიტუტი, ძალიან მნიშვნელოვანია მედიასთან ურთიერთობა. რეფორმის პირობებში შეიქმნა მანდატურის ინსტიტუტი, რაც უზრუნველყოფს სასამართლოს დაცვას, ასევე სასამართლოში მყოფი მოქალაქეების უსაფრთხოებას და რაც საკმაოდ წინგადადგმული ნაბიჯია.

გარდა ამისა, შეიქმნა იუსტიციის უმაღლესი სკოლა, რომლის ერთ-ერთი წარმომადგენელიც, როგორც უკვე გითხარით, თავად გახლავართ. ეს არის ძალიან თანამედროვე, ყველანაირი ტექნიკით და საშუალებით აღჭურვილი სისტემა. სკოლა, სადაც შეგიძლია ძალიან თავისუფლად დაეუფლო, გაიღრმაო განათლება. ძირითადად აქცენტები კეთდება პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეძენაზე. იმისათვის, რომ მოსამართლემ ეს სკოლა გაიაროს, აუცილებელია მას ჩაბარებული ჰქონდეს გამოცდა და გავლილი ჰქონდეს კონკურსი.

რეფორმის ერთ-ერთი შედეგია საქმეთა სწრაფი განხილვა, რასაც ხელი შეუწყო, რა თქმა უნდა, კანონმდებლობის დახვეწამ, ვადების შემჭიდროვებამ.

***– თქვენ ბრძანეთ, რომ განხორციელებული რეფორმების შედეგად სასამართლო სისტემაში ინერგება მომსახურების ელექტრონული სისტემა. ჩემთვის ცნობილია, რომ ამ საქმეში ნოვატორი იყო რუსთავის საქალაქო სასამართლო. რას ნიშნავს ეს ელექტრონული სისტემა?***

- რუსთავის საქალაქო სასამართლო იყო საპილოტე სასამართლო, სადაც დაინერგა საქმის წარმოების ელექტრონული სისტემა. სისტემაში ხდება ელექტრონული წესით დოკუმენტების ატვირთვა. საქმის მთლიანი მასალები, რომელიც შემოდის ქაღალდის ფორმით სასამართლოში იტვირთება ელექტრონული ფორმით და ენიჭება თავისი ნომერი. ეს იქნება სხდომის ოქმი, გადაწყვეტილება, მხარის მიერ შემოტანილი ეს თუ ის დოკუმენტი, ეს ყველაფერი არის თავმოყრილი ერთად. ეს სისტემა ყველა სასამართლოშია გავრცელებული. აპარატის თანამშრომლებს ევალებათ ყველა დოკუმენტი და მასალა შეიტანონ ამ პროგრამაში და გვეძლევა საშუალება, თუ მაგალითად მაინტერესებს რაიმე ტიპის გადაწყვეტილება, შემიძლია ამ სისტემის მეშვეობით მოვიძიო.

ასევე, ეს სისტემა ძალიან მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ სტატისტიკურად ითვლის საქმეებს. ვთქვათ, რამდენი საოჯახო სამართლებრივი დავაა შემოსული თუ ვალდებულებრივ-სამართლებრივი და ასე შემდეგ. გარდა ამისა, ძალიან მოქნილი პროგრამაა იმ თვალსაზრისით, რომ კარგი საძიებო სისტემა აქვს და შეგვიძლია ძალიან მოკლე ხანში მოვიძიოთ ყველა ის გადაწყვეტილება რაც გვაინტერესებს. გარდა ამისა, უახლოეს მომავალში იგეგმება სისტემაში ჩაერთონ მხარეები - მოსარჩელე-მოპასუხე მხარეები, რომლებიც შეძლებენ ელექტრონულად გადმოაგზავნონ სარჩელი თუ შესაგებელი საქმესთან დაკავშირებით, ელექტრონულად მიიღონ დოკუმენტაცია, რაც დაზოგავს, როგორც სასამართლოს, ასევე მათ ხარჯებს და უფრო სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებას შეუწყობს ხელს. ეს სისტემა ძალიან მოწონებულია მოწინავე ევროპული ქვეყნების მიერ. რამდენიმე ხნის წინ სასამართლოში იმყოფებოდა გერმანიის სასამართლოთა დელეგაცია, რომელსაც ძალიან მოეწონათ ეს სისტემა და განაცხადეს, რომ მსგავსი ტიპის ელექტრონული სისტემა მათ არა აქვთ და სურვილი გამოთქვეს მსგავსი სიახლეების დანერგვისა.

გარდა ამ პროგრამისა, გვაქვს აუდიო ჩაწერის სისტემა. სხდომის ოქმები სასამართლოში იწერება ელექტრონული წესით, რაც თითქმის გამორიცხავს მხარეთა პრეტენზიებს უზუსტობასთან დაკავშირებით.

ასევე მუშაობს ელექტრონული სისტემა, რომლის საშუალებითაც შეგვიძლია მაგალითად, სხვა ქალაქიდან თუ ქვეყნიდან ჩავრთოთ და დავკითხოთ მოწმე, ან ნებისმიერი პროცესის მონაწილე მხარე დისტანციურად. ეს უწყობს ხელს უფრო სწრაფად და ეფექტურად განვიხილოთ საქმეები.

ჩატარებული რეფორმის შედეგად, არსებობდა რაიონული სასამართლოები, მოხდა მათი გამსხვილება და ჩამოყალიბდა ერთიანი თბილისის საქალაქო სასამართლო. როგორც უკვე გითხარით, მოხდა ასევე რაიონული სასამართლოების გამსხვილება და დღეის მდგომარეობით თუ არ ვცდები 15 დიდი სასამართლო არსებობს ჩვენს ქვეყანაში. მოხდა ასევე საოლქო სასამართლოს რეფორმირება და იგი გადაიქცა სააპელაციო ინსტანციის სასამართლოდ, სადაც განიხილება სააპელაციო წესით საჩივრები. ასევე გვაქვს საკასაციო ინსტანციის სასამართლო ანუ უზენაესი სასამართლო, სადაც ხდება საკასაციო საჩივრების განხილვა. რაც შეეხება სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს, ჩვენ გვაქვს ორი სააპელაციო სასამართლო, ერთი თბილისის, ხოლო მეორე ქუთაისის. აღმოსავლეთ საქართველოს რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებებზე საჩივრებს განიხილავს თბილისის სააპელაციო სასამართლო. რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, განიხილება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში.

***– რა განსხვავებაა ჩვეულებრივ მოსამართლესა და მაგისტრატ მოსამართლეს შორის?***

- მაგისტრატ მოსამართლესა და ჩვეულებრივი რაიონული სასამართლოს მოსამართლეს შორის განსხვავება არაფერია. მაგისტრ მოსამართლეს დაკისრებული აქვთ მაგისტრის მოვალეობის შესრულება ამა თუ იმ ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულში, სადაც, როგორც გითხარით, შექმნილია მაგისტრატი სასამართლოები. რუსთავის საქალაქო სასამართლოს შემადგენლობაშია გარდაბნის მაგისტრატი სასამართლო. 2012 წლის სექტემბერში მოხდა რუსთავის საქალაქო სასამართლოსა და გარდაბნის რაიონული სასამართლოების გაერთიანება და გარდაბნის რაიონულ მუნიციპალიტეტში შეიქმნა გარდაბნის მაგისტრატი სასამართლო, სადაც ჩადის მაგისტრი მოსამართლე კვირაში ორჯერ ან სამჯერ, საქმეთა დატვირთულობის მიხედვით და იხილავს იმ კატეგორიის საქმეებს, რომელიც არის მის განსჯადობას მიკუთვნებული. თავისუფალ დროს იგი უფლებამოსილებას ჩვეულებრივად ახორციელებს რუსთავის საქალაქო სასამართლოში.

***– სტატისტიკის მიხედვით, რუსთავის საქალაქო სასამართლო რა საქმეებს უფრო ხშირად განიხილავს?***

- რუსთავის საქალაქო სასამართლო ყველა კატეგორიის, ყველა ტიპის საქმეს განიხილავს, თუმცა, არ მახსენდება საქმეები ინტელექტუალური სამართლის სფეროდან. ძალიან ხშირია ვალდებულებით სამართლებრივი დავები და საოჯახო სამართლებრივი დავები. ასევე ხშირია სანივთო სამართლებრივი, შრომითი დავები და სამეწარმეო დავები. უფრო ხშირია სისხლის სამართლის კუთხით, ეკონომიკური დანაშაულის საქმეები და ასევე ნარკოტიკული დანაშაულები. საკმაოდ ხშირია სამართალდარღვევის საქმეები და ოჯახური ძალადობის ფაქტზე არსებული დავების განხილვა.

***– ქალბატონო მაია, იმატა საოჯახო დავებმა?***

- შეიძლება დღეში განვიხილოთ 3-4 ალიმენტის საქმე, ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის საქმე. ვფიქრობ, ეს გამოწვეულია იმით, რომ ადამიანებმა ისწავლეს თავისი უფლებების დაცვა, რაშიც მათ არასამთავრობო ორგანიზაციებიც ეხმარებიან. განსაკუთრებით, ქალებმა ისწავლეს თავისი უფლებების დაცვა, ისინი აღარ ჩუმდებიან, ნებისმიერი ოჯახური ძალადობის ფაქტზე მათ შემოაქვთ სარჩელი, იძახებენ საპატრულო პოლიციას, რომელიც ადგენს შესაბამის ოქმს და შემოაქვს დასამტკიცებლად. არის შუამდგომლობები, ასევე დამცავი ორდერების გამოწერის მოთხოვნით.

ძალიან გაზრდილია მორიგებების რიცხვი, რაც ძალიან მისასალმებელი ფაქტია. საოჯახო დავების ძალიან დიდი პროცენტული მაჩვენებელი ალბათ მორიგებით მთავრდება, გარდა ამისა, მარტივი ტიპის საქმეები ძირითადად მორიგებით მთავრდება, რაც, რა თქმა უნდა, ზოგავს როგორც სასამართლოს, ასევე მხარეების ხარჯებს.

***– ქვემო ქართლის რეგიონი სპეციფიურია იმის გამო, რომ აქ ეთნიკური უმცირესობა ცხოვრობს, არის პროგრამები, რომლითაც ეთნიკური უმცირესობები სწავლობენ სახელმწიფო ენას, თუმცა, ჯერ კიდევ მრავლად არიან მოქალაქეები, რომლებიც ცუდად ფლობენ ქართულ ენას, არის ეს შემაფერხებელი გარემოება სასამართლოსთან ურთიერთობის დროს?***

- ეს არ არის შემაფერხებელი გაემოება. ხშირად პროცესების ჩატარება გვიწევს თარჯიმნის დახმარებით, გვყავს რუსულის და ქართული ენის მცოდნე, ასევე აზერბაიჯანულ-ქართული ენის მცოდნე თარჯიმანი, თუმცა თუ სხვა ენის მცოდნე თარჯიმნის მოწვევა გვჭირდება, არც ამის პრობლემას ქმნის სასამართლო. მოქალაქეები არიან უზრუნველყოფილი მათთვის გასაგებ ენაზე მიიღონ სასამართლო მომსახურება, მხარეებს ეძლევათ საშუალება მათთვის გასაგებ ენაზე შეუფერხებლად მიიღონ მომსახურება. რა თქმა უნდა, სახელმწიფო ხარჯზე, ამ კუთხით არანაირი პრობლემა ჩვენს მოქლაქეებს არ აქვთ.

***– გაიზარდა თუ არა მოქალაქეების მომართვიანობა?***

- ძალიან ბევრი არაქართულენოვანი მოსახლეობა მომართავს სასამართლოს, ძალიან ხშირია არა მარტო მათი, არამედ ქართულენოვანი მოსახლობის მიერ სასამართლოსათვის მომართვიანობა, რაც, ვფიქრობ, რომ საკმაოდ კარგი ფაქტია იმ თვალსაზრისით, რომ ადამიანებმა ისწავლეს თავიანთი უფლებების დაცვა. ის, რომ მათ შეუძლიათ თავიანთი უფლებები აღიდგინონ სასამართლოს წესით, ნიშნავს იმას, რომ მოქალაქეების სამართლებრივი მართლშეგნება ამაღლებულია.

ნინო კომახიძე
599-95-33-16

# „მარგველაშვილი ჩემზე მეტი დემოკრატი ვერ იქნება“

## რატომ არ დაუჭირა მხარი უმრავლესობის კანონპროექტს „მოსმენების“ შესახებ და რატომ შეიცვალა პოზიცია ანი მიროტაძემ



**ანი მიროტაძე ეროვნული ფორუმის ყველაზე ახალბედა ლიდერია, თუმცა ამ პარტიიდან პარლამენტში ყველაზე აქტიურია. მისი აზრები და არგუმენტები ხშირად კოალიციის უმრავლესობისას არ ემთხვევა. ასე მოხდა „მოსმენების“ შესახებ კანონის განხილვების დროსაც, თუმცა ბოლოს პოზიცია მაინც იცვალა და კოალიციას პრეზიდენტის ვეტო დააძლევინა. არ მოსწონს საარჩევნო სისტემა, მიაჩნია, რომ შესაძლებლობის შემთხვევაში, არჩევნების შედეგებს „ოცნებაც“ აუცილებლად გააყალბებს, ცოტა ხნის წინ კი პრეზიდენტს ცესკო-ს წევრობის ორი კანდიდატურაც ჩაუგდო — „ვერსიას“ უმრავლესობის წევრი ეროვნული ფორუმიდან, ანი მიროტაძე ესაუბრება:**

— ცესკო-ს წევრად წარდგენილი კანდიდატურების წინააღმდეგ ჩემს არგუმენტს გეტყვით, თუმცა მას უმრავლესობა იზიარებს თუ არა, სხვა საკითხია. კომიტეტზე კონკრეტული კითხვები მქონდა, რაც არ დამიმალავს. კანდიდატებს ვკითხე, როგორ აპირებენ ცესკო-ს მუშაობის ეფექტურობის გაზრდას, მის დეპოლიტიზებას, მაგრამ დამაჯერებელი პასუხები ვერ მივიღე. შესაბამისად, ხმა ორივე კანდიდატის წინააღმდეგ მივეცი და მხარი არც სესიაზე დამიჭერია.

**— მართლაც არ დაგიმალავთ, ცესკო პოლიტიზებულია, რადგან წევრების ნახევარი პარტიული ხალხია, მეორე ნახევარს კი პრეზიდენტი ამტკიცებსო. ცესკო-ს დეპოლიტიზების რა გზას ხედავთ თავად?**

— ფორუმი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც საარჩევნო გარემოს შეცვლის აუცილებლობაზე საუბრობდა. დღესაც, იგივე მიზნები მაქვს. ვერც ერთმა მომავალმა მმართველმა ქვეყნის ჯიბეში ჩადება ველარ უნდა შეძლოს არჩევნებით. ცესკო-ს დეპოლიტიზების ტექნიკურ საშუალებას რომ ვერ ვხედავ, სწორედ ამიტომ ვსვამ ამდენ კითხვას, თორემ ცესკო-ს დაკომპლექტების წესი რომ მოვიფიქრო, არავინ დამჭირდება, ისე დავაყენებ საკითხს.

— **ახლა რეალური ცვლილებებისთვის გაცილებით მეტი საშუალება გაქვთ, სწორედ ხელისუფლებაში ყოფნის გამო, მაგრამ „ოცნება“ არ ჩქარობს, რატომ?**

— საარჩევნო რეფორმის ფარგლებში პარლამენტმა რაღაც ცვლილებები მიიღო, თუმცა ეს არასაკმარისია. ერთი ადამიანიც რომ ვიყო, მანამ ვიბრძოლებ, სანამ თანამოაზრეებს არ გავიჩენ. სხვის ნაცვლად ვერაფერს ვიტყვი, ჩემი პარტია კი იმ აზრზე რჩება, რომ საარჩევნო გარემო მაქსიმალურად გამჭვირვალე უნდა იყოს და სისტემამ ხელისუფლებას არც ერთი ხმის გაყალბების საშუალება არ უნდა მისცეს. თორემ ვერც ერთი ხელისუფლების კეთილი ნების იმედად ვერ ვიქნებით.

**— ესე იგი, მიდასტურებთ, რომ არსებული სისტემა არჩევნების გაყალბების საშუალებას იძლევა?**

— თუ ხელისუფლებას რაიმე ბერკეტი აქვს, გამოიყენებს. ამას ყველა ხელისუფლება აკეთებს, ამიტომ ინსტიტუციები ისე უნდა გაიმართოს, გაყალბების ტექნიკური შესაძლებლობა არ არსებობდეს. თორემ შანსს „ოცნებაც“ გამოიყენებს და მომავალი ხელისუფალიც.

**— „მოსმენების“ თემაზე თქვენ პოზიცია შეიცვალეთ, უმრავლესობის კანონს ჯერ არ ეთანხმებოდით, მერე იგივე უმრავლესობას პრეზიდენტის ვეტო დააძლევინეთ — რატომ?**

— ამის ახსნა მართლა ძალიან მინდა. ყველაფერი გავაკეთე საკუთარი პოზიციის დასაცავად, ვცდილობდი, კოლეგებისთვის ამეხსნა, რატომ ვემხრობოდი ვახტანგ ხმალაძის კანონპროექტს, მაგრამ 150 კაცში ერთი ვარ და ჩემი კოლეგების უმეტესობამ ხმა ბესელია-სესიაშვილის პროექტს მისცა. მათ არჩევანს პატივს ვცემ, მაგრამ ჩემს აზრზე ვრჩები. ამ ყველაფერს პრეზიდენტის აბსოლუტურად უპასუხისმგებლო, გაუგებარი შენიშვნები მოჰყვა და კანონს ვეტო დაადო. იმის ფონზე, რომ მანამდე პრეზიდენტმა ერთთვიანი ვადა დაგვიწესა, ვიფიქრე, უფრო არგუმენტირებული შენიშვნები უნდა ჰქონოდა, მაგრამ ისინი პოლიტიკურად მოტივირებულად მომეჩვენა.

**— რა მოტივი უნდა ჰქონოდა პრეზიდენტს?**

— არ ვიცი, ალბათ, ამით უნდოდა გამოეჩინა, რომ უფრო დემოკრატია? არა, ვერ არის, ვერ იქნება ჩემზე დემოკრატი! ვინ მეტი დემოკრატია, საქმით უნდა გამოჩნდეს, ამიტომ ეს ნაბიჯი პოპულისტურად და უპასუხისმგებლოდ მივიჩნიე და ამ ვეტოს დაძლევას მხარი დავუჭირე. შედეგად, ის პროექტი გავიდა, რომელიც არ მომწონდა. თუმცა არ ვფიქრობ, ამით განსაკუთრებული საფრთხის წინაშე ვართ და ნაციონალების პერიოდში დავბრუნდით. თუ ძალა მეყოფა, პარლამენტიდან ისე გავალ, ამ კანონში ცვლილებები კიდევ შევა და იგი ბევრად გამართული იქნება. ფაქტობრივად, არჩევანი ცუდსა და უარესს შორის გავაკეთე. თუმცა არასამთავრობოების მიერ შემოტანილი ვარიანტი ჩემთვის კატეგორიულად მიუღებელი იყო და მას დღემდე ვემიჯნები.

**— ქვეყნის შიდავითარებაზე, ბოლოდროინდელ გადანაცვლებებზე, ჯანყარაშვილსგაყოლილ კადრებზე რას იტყვით... ესეც პოლიტიკურად მოტივირებული გადაწყვეტილებები იყო?**

— უპირატეს მდგომარეობაში ხართ, რადგან ჟურნალისტს კითხვების ღიად დასმისა და კულუარებზე საუბრის ფუფუნება აქვს. როგორც პოლიტიკოსს, არანაირი ფაქტი არ გამაჩნია, ამ გადანაცვლებებსა და მის პოლიტიკურ მოტივაციაზე ვიმსჯელო. მესმის, ამ კულუარებზე ადამიანები კითხვებს სვამენ, სამზარეულოში მსჯელობენ და კარგი იქნება, თუ ეს უფრო ფართო მსჯელობის საგანი გახდება და ხალხს კითხვები აღარ დარჩება.

**— ჰოდა, ხალხს კითხვები ჯერ სამზარეულოში გაუჩნდა, მერე ქუჩაში, ბოლოს არჩევნებზე და ამიტომ გადავიდა ნაციონალური მოძრაობა ოპოზიციაში. „ოცნებაც“ იგივე გზას ხომ არ ადგას?**

— არა, არამხოლოდ იმიტომ, რომ ეს არ მინდა, თუმცა სჯობს, ამ კითხვებზე უფრო კომპეტენტურმა ადამიანებმა უპასუხონ. მონაწილეობა არც ვინმეს დანიშვნაში მიმიღია, არც გათავისუფლებაში. ეს პრემიერ-მინისტრის საქმეა და მე მას ვენდობი.

**— ეროვნულ ფორუმზე რას მეტყვით, ფაქტობრივად, უმრავლესობაში ჩაკარგული პარტია ხართ!**

— როცა პარლამენტში შევედით, პასუხისმგებლობა გუნდურად ავიღეთ. რაღაცები მოგვწონს, რაღაცები — არა, მაგრამ თავში სულ ბიძინა ივანიშვილის ფრაზა მიტრიალებს: კახა შარტავამ გუნდურობის მასტერკალსი ჩაგვიტარაო. ჩვენ დღემდე გუნდურობის პრინციპის ერთგულნი ვართ.

**— მაგრამ, თუ კოალიციას ბევრ საკითხში არ ეთანხმებით, გუნდურობის პრინციპის გამო კიდევ 2 წელი ის უნდა აკეთოთ, რაც არასწორად მიგაჩნიათ?**

— განსხვავებულ მოსაზრებებს ყოველთვის საჯაროდ დავაფიქსირებთ, მაგრამ ამას სწორედ ისე გავაკეთებთ, გუნდურობის პრინციპი არ დაირღვეს. ერთსაც გეტყვით — ფორუმს ცოტა ხანს კიდევ დაელოდეთ.

**— და რა მოხდება — თქვენც ოპოზიციაში გადახვალთ?**

— უბრალოდ, ცოტა ხანს დაელოდეთ. არავისთან შეერთებას არ ვაპირებთ, არც ოპოზიციაში გადასვლას და საერთოდ, ჩემთვის ყოვლად გაუგებარი იყო ირაკლი ალასანიას ოპოზიციაში წასვლა. ოპოზიციაში წასვლა ბევრად ადვილია, დარჩენა და რაღაცის გამოსწორება — რთული. ჩვენ რაც არ მოგვწონს, იმის ერთად გამოსწორება გვინდა. თუ სხვა გზა არ დაგვრჩება და კონკრეტულ, პრინციპულ საკითხზე სხვებთან ვერ შევთანხმდებით, ვიტყვით-კიდეც.





# ჰომოსექსუალიზმი — გენეტიკური პრობლემა თუ აღზრდაში დაშვებული შეცდომა

## როგორ და როდის შეუძლია მშობელს, აღმოაჩინოს შვილის სექსუალური გადახრა და რა მეთოდით უნდა ავიცილოთ თავიდან ჰომოსექსუალიზმი

მაკა ლომაძე

**არატრადიციული სექსუალური ორიენტაცია ათადან-ბაბადან სახეზეა ყველა საზოგადოებაში. რა იწვევს ჰომოსექსუალიზმს? — ამ კითხვაზე ცალსახა პასუხი, ჯერჯერობით, არ არსებობს. საზოგადოების ნაწილს მიაჩნია, რომ ეს თანდაყოლილი, სამედიცინო პრობლემაა. „ვერსიის“ რესპონდენტი კი აცხადებს, რომ ჰომოსექსუალიზმი, შესაძლოა, აღზრდაში დაშვებული შეცდომის შედეგი იყოს. როგორ შეიძლება გამოავლინოს მშობელმა სექსუალური გადახრა ადრეულ ასაკში და როგორ დავუბრუნოთ ბავშვი განვითარების ნორმალურ კალაპოტს? — „ვერსიას“ ფსიქოლოგი თინათინ ჭაღოშვილი ესაუბრება.**

**— არის თუ არა ჰომოსექსუალიზმი თანდაყოლილი და შეიძლება თუ არა ბავშვის არასწორი სექსუალური განვითარება ადრეულ ასაკში გამოვლინდეს?**

— ბიოლოგიური სქესის გარდა, არსებობს ფსიქოლოგიური სქესი, რომელიც შესაძლებელია ემბრიონის ბიოლოგიურ სქესთან მიმართებაში არასწორად განვითარდეს. ამის მიზეზი კი, შეიძლება იყოს ჰორმონალური დისბალანსი, დედის დამოკიდებულება შვილის სქესის მიმართ, ან აღზრდაში დაშვებული შეცდომები. აქედან გამომდინარე, ჰომოსექსუალური ორიენტაცია ვერ იქნება ყოველთვის თანდაყოლილი. მათი უმეტესობა დამოკიდებულია იმაზე, ბავშვი როგორ გადალახავს ასაკობრივ კრიზისს 3-დან 7-წლამდე.

**— მშობლებმა კონკრეტულად რა შეცდომა შეიძლება დაუშვან?**

— მარტივად აგიხსნით, ბავშვი, რომელსაც დედა ჰყავს მამაკაცის თვისებებით და მამა ქალის თვისებებით, დიდი ალბათობით ვერ მოახერხებს საკუთარ ბიოლოგიურ სქესთან იდენტიფიკაციას. ერთი მშობლის არასწორმა ფსიქოლოგიურმა სქესმაც კი, თუნდაც ეს არ იყოს ჰორმონალური დარღვევებით გამოწვეული, შესაძლოა შეცვალოს შვილის სექსუალური ორიენტაცია.

**— ბავშვის სექსუალური ორიენტაციის შეცვლა როდის შეიძლება გამოვლინდეს ისე, რომ მშობელმაც შენიშნოს?**

— პრობლემა შეიძლება გამოვლინდეს 3 წლიდან — ამ დროიდან ახდენს ბავშვი იდენტიფიკაციას საკუთარ სქესთან. დედ-მამის ურთიერთობა და მათი ფსიქოლოგიური სქესი, ბავშვისადმი მათი დამოკიდებულება და ზოგადად აღზრდა, უმნიშვნელოვანესი ფაქტორებია სქესის იდენტიფიკაციისას. გამოვლენა სხვადასხვა ფორმით ხდება: მაგალითად, 3 წლამდე ბიჭი თუ თამაშობს თოჯინებით, განგაშის საფუძველი არაა, მაგრამ თუ ეს 3 წლის შემდეგ სისტემატურ ხასიათს მიიღებს, უკვე სქესის არასწორი იდენტიფიკაციის მანიშნებელია. რადგან თითოეული ბავშვის განვითარება ინდივიდუალურია, ცდომილება შესაძლებელია 6 თვე იყოს.

**— როგორია პრობლემის მოგვარების შესაძლო გზები?**

— ამ პრობლემის მოგვარება, ფსიქოთერაპევტის დროული დახმარებით, გაცილებით ადვილადაა შესაძლებელი — 3-დან 5 წლამდე. ამ დროს, მშობლებთან მუშაობაცაა საჭირო. თუმცა, შედეგის მიღება, ზრდასრულ ასაკშიც შესაძლებელია. მთავარია მოტივაცია. ინფორმაციის ნაკლებობა და არცოდნა იწვევს ზოგჯერ საშინელ შფოთვას ადამიანში. მერწმუნეთ, ზოგჯერ ერთი სიტყვაა საკმარისი. ამას იმიტომ ვამბობ, რომ შესაძლოა ადამიანმა არასწორად შეაფასოს თავისი ორიენტაცია და ამ დროს არ ჰქონდეს არანაირი გადახრა. თუ ჩავუღრმავდებით და კ.გ. იუნგს გადავავლებთ თვალს, ვნახავთ, რომ იქ საუბარია ანიმა და ანიმუსზე. ანიმა არის მდედრობითის სახე მამრის ფსიქიკაში, ანიმუსი კი — მამრობითის სახე მდედრის ფსიქიკაში. ამ ფონზე, გასაკვირი არ არის, თუ ქალი ან მამაკაცი საპირისპირო სქესს „აღმოაჩენს“ საკუთარ თავში და ეს სულაც არ არის სქესობრივი ორიენტაციის შეცვლა. ტელევიზიით გადმოცემულმა დაუსრულებელმა დისკუსიებმა, სადაც ყველა თავისას ამტკიცებს და მაყურებელი გადაცემის დასრულების შემდეგ ფრუსტრირებული და გაბრაზებული რჩება, შესაძლოა სავალალო შედეგი მოიტანოს — არაა გამორიცხული, ამ დროს მოზარდმა, რომელმაც არ იცის, რაზეა საუბარი, საკუთარი თავი არასწორად „აღმოაჩინოს“. შედეგად, მივიღებთ ტრავმირებულ თაობას.

**„ვერსია“ ჯანმრთელობის ასოციაციის პრეზიდენტს, რეპროდუქტოლოგ არჩილ ხომასურიძესაც დაუკავშირდა:**

— ბიოლოგიური სქესი ყალიბდება საშვილოსნოში. ფსიქოლოგიური სქესი კი, ძირითადად, გარდატეხის ასაკში. გოგონების შემთხვევაში ეს პერიოდია 9 წლიდან ციკლის მოსვლამდე, ბიჭებში კი — დაახლოებით 10-დან 13 წლამდე. თუმცა, არის შემთხვევები, როცა ჰომოსექსუალობა ვლინდება 20, 30 და 50 წლის ასაკშიც. რაც შეეხება ჰორმონალურ დარღვევებს, არატრადიციული ორიენტაციის ადამიანებში, დიდად შესწავლილი არ არის, მაგრამ ძირითადად, არის მათი ბიოლოგიური სქესის იდენტური.

**— თუ ჰორმონალური დარღვევითაა გამოწვეული კონკრეტული კაცის ქალური ქცევები და ა.შ, არ შეიძლება, ჰორმონალური გზით ვუმკურნალოთ?**

— ეს ეფექტური მაშინ იქნებოდა, მიზეზი რომ ვიცოდეთ. დიახ, სქესის ფსიქოლოგიური ტიპის მიზეზი, მსოფლიო სამედიცინო საზოგადოებისთვის, ჯერჯერობით, უცნობია. ხოლო, როცა ჰორმონარული წარმოშობისაა სქესობრივი პრობლემა, მაშინ კორექცია ადვილია. ჰორმონალური მოშლის გარდა, კიდევ არსებობს განვითარების მანკები, როცა ღმერთი ინებებს და გოგონას აქვს ჭარბი ოდენობის იგრეკქრომოსომები ან პირიქით. ასეთი პაციენტები მკურნალობას ემორჩილება, მაგრამ ძნელად. თუმცა, ამას კავშირი ნაკლებად აქვს სექსუალურ ორიენტაციასთან. არის ასევე ის მოსაზრება, რომ ჰომოსექსუალობა გენეტიკურია, მაგრამ ეს ყველაფერი ვარაუდია. დადგენილი არაა, ქრომოსომის რომელი ნაწილია ამაზე პასუხისმგებელი. გენეტიკური კორექცია ექსპერიმენტის დონეზე კი, ჯერჯერობით, მხოლოდ ცხოველებშია შესაძლებელი.

# სპეციალური რეპორტაჟი „კათარზისიდან“



მერაბ ბერიძე, 599-45-50-26

**ბოლო 20 წლის სოციალურ-ეკონომიკურმა კატაკლიზმებმა ბევრი ადამიანი სარჩო-საბადებლის, თავშესაფრის გარეშე დატოვა. განსაკუთრებით გაუჭირდათ მოხუცებს, რადგან ცხოვრებას ახალგაზრდებივით თავიდან ვერ დაიწყებდნენ. საერთაშორისო ჰუმანიტარულ კავშირში „კათარზისი“, ყოველდღიურად, 350 ადამიანი მიირთმევს ცხელ კერძს, ჭერის გარეშე დარჩენილი ქალბატონები კი, აქ მუდმივად ცხოვრობენ.**

## „გვინდა, მეოთხე სართულზე ჰოსპისიც გავაკეთოთ და კარგი იქნება, ხელისუფლებაც თუ დაგვეხმარება“

ალმაშენებლის №121-ში, გარემონტებულ-გალამაზებულ სათნოების სახლში, სასიამოვნო ატმოსფეროა. ცხელი სადილის დროა და ფოიე სავსეა მსურველებით. მსჯელობენ ისე, პარლამენტი ვერ დაიკვეხნის მსგავს აქტივობასა და აზრთა გაცვლა-გამოცვლას. ფოიეშივე, მარჯვენა მხარეს, მცირე კინოდარბაზი დგას, რომელიც მაყურებლის ნაკლებობას ასევე არ განიცდის. გული არ ბერდება — თავში მხოლოდ ეს აზრი მიტრიალებს.

ქალბატონთა მუდმივი თავშესაფარი მესამე სართულზეა. აქ საოცარი ამბავი დამხვდა — ულამაზეს ფორმებში გამოწყობილი, წავკისელი გოგო-ბიჭები, ბებიებს ცხოვრებას ულამაზებენ. ერთ-ერთ მათგანს, 84 წლის **ნათელა გეგიას,** სიცოცხლით სავსე ბავშვების ცქერისას, თვალზე ცრემლი ადგება. კონცერტის დასრულების შემდეგ კი შთაბეჭდილებებს გვიზიარებს: **„თბილისში, მელიქიშვილის გამზირზე ვცხოვრობდით. მერე ყველაფერი აგვერია. ჩემი შვილი მეუღლეს გაშორდა. ჯერ ერთი, მერე მეორე ბინა გავყიდე, რძალი და შვილიშვილი უბინაოდ რომ არ დარჩენილიყვნენ. შვილი უმუშევარი იყო და უკიდურესად გაგვიჭირდა. სწორედ ამ დროს გაძვირდა ბინები და გარეუბანშიც კი ველარ ვიყიდე. შვილი რაიონში, საერთო საცხოვრებელში ცხოვრობს, მწირი ხელფასი აქვს. ქუჩაში, სახლიდან გამოტანილი ნივთების გაყიდვა დავიწყე. მთავრობის ხალხი მოვიდა, ჭურჭელი დამილეწა. მერე ძალიან გაგვიჭირდა. მარტოც რომ ვცხოვრობდე, პენსია მაინც არ მეყოფოდა. პენსიონერები სახელმწიფოს არ სჭირდება — 10 ლარით მატება არაფერს ცვლის. სხვა გზა რომ არ მქონდა, 7 წლის წინ, აქ მოვედი. თავშესაფარი მომცეს, მადლობის მეტი, რა მეთქმის. 11 მოხუცი ვცხოვრობთ აქ. ისეთებიც მოდიან, ვისაც ცხელი კერძი ენატრება, მიირთმევენ, ისვენებენ, მერე ვსხდებით ბაღში და ვსაუბრობთ. ჩვენთვის ეს ფიზიკური გადარჩენის, სულიერი სიმშვიდის თავშესაფარია“.**

ქალბატონი ნათელას თქმით, სათნოების სახლში სრული კომფორტია — ცხელი წყალი, გათბობა, სისუფთავე, კარგი კვება... ამბობს, რომ მოხუცებს არასოდეს არავინ ეჩხუბება და ამცირებს. პირიქით, კონცერტებს უმართავენ, ართობენ. ყველაზე მეტად ის ახარებთ, თუკი ვინმეს მათი არსებობა გაახსენდება: **„ოთხი შვილიშვილი მყავს. ისე ცხოვრობენ, ვერ შეაწუხებ. ვიწროდ ცხოვრობენ, ზოგი უმუშევარია, ვერ ეტყვი, წამიყვანეო. ჩვენ მხოლოდ ტკბილი სიტყვა გვჭირდება. ზოგს აქ ნათესავებიც აკითხავენ. თბილ სიტყვას აქ არ იშურებენ, მაგრამ შინაურებმაც რომ გვაჩუქონ ერთი ბედნიერი დღე, გაგვიხარდება. გული მწყდება, შვილიშვილებს რომ ვერ ვნახულობ. მინდა, ზღაპარი მოვუყვე, ჩემი თავგადასავალი ვუამბო, დავარიგო, გამოცდილება გავუზიარო... ჩემს შვილს ბინა რომ ჰქონდეს, აქ არ ვიქნებოდი. ჩემი შვილი მეუბნება, ნუ გეშინია, წაგიყვან აქედანო. როგორ წამიყვანს, უბინაოდაა. დღეს ჩემი მუერვე და პატრონი ჩემი დისშვილია. ავად რომ გავხდი, მან წამიყვანა, მძიმე ოპერაცია გამიკეთა და მერე დავბრუნდი, რადგან კათარზისს დამატებით მომვლელების აყვანის საშუალება არ აქვს. უნდოდათ, მწოლიარეებისთვის ჰოსპისიც დაეშენებინათ, მაგრამ არასაკმარისი თანხის გამო, ვერ მოახერხეს“.**

დავინტერესდით, ამდენი პრობლემის მიუხედავად, ასეთი მხიარული და იმედიანი რატომაა. „ბუნებით ვარ მხიარული, ცუდ განწყობაზე ვერ მნახავთ“, — გვიპასუხა და ისიც გაგვიმხილა, რომ ბევრი საყვარელი ადამიანი დაკარგა, დიდი ტკივილიც ნახა, მაგრამ იმედი არ დაუკარგავს. არც 50 წლის განმავლობაში, მეუღლესთან ერთად ნაკოწიწები ცხოვრებისა და ქონების ერთბაშად განადგურებამ გაანადგურა სულიერად: **„რა არის ოპტიმიზმის საფუძველი? — თუნდაც ის, დღეს მოსწავლეებმა კონცერტი რომ ჩაატარეს და ჩემი ახალგაზრდობა გამახსენდა. მეც ვცეკვავდი პიონერთა სასახლეში. ძალიან აქტიური ვიყავი ყოველთვის, სიცოცხლით სავსე და ასეა დღესაც. როცა ვინმეს მოწყენილს ვხედავ, განვიცდი. თითქოს უფლება არ მაქვს, მოვიწყინო. ჩემს დისშვილს რომ ვურეკავ, არასოდეს ვწუწუნებ. არ ვეუბნები, რამე თუ მაწუხებს. პირიქით, სახალისო ამბებს ვუყვები, ვაცინებ და მეუბნება კიდეც, მარტო შენ მიქმნი კარგ აურასო. არც შვილს ვეკითხები, როდის გამიყვან აქედან-თქო. ძალიან მინდა, სიცოცხლის ბოლო წლები მასთან გავატარო, მაგრამ... სამამულო ომმა ჩემ თვალწინ გაიარა. დიდი გაჭირვება ვნახე და ალბათ, ამიტომაც ვარ ასეთი ძლიერი. დღეს მოცეკვავე გოგო-ბიჭებს რომ ვუყურე, ვფიქრობდი, როგორ შეიძლება მათ შემხედვარეს, მომავლის იმედი არ გქონდეს? საქართველო აუცილებლად გაბრწყინდება, ისეთი შესანიშნავი ახალგაზრდობა გვყავს“.**

ქალბატონი ნათელა ამბობს, რომ მოხუცებისთვის უმთავრესი ყურადღებაა, რომელსაც აქ პოულობენ. სტუმრებიც უხარიათ. მათ შორის, ისეთებიც არიან, სათნოების სახლს, წლების განმავლობაში, სისტემატურად რომ სტუმრობენ. ქალბატონი ნათელა, ერთ კაცს იხსენებს. წლობით შვილი არ ჰყავდა, ხშირად სტუმრობდა კათარზისსა და მოხუცებს საჩუქრებით ანებივრებდა. სანაცვლოდ, ერთადერთ რამეს სთხოვდა: ილოცეთ, შვილი შემეძინოსო. დღეს ორი შვილის მამაა, მაგრამ კათარზისს მაინც ხშირად სტუმრობს. **„არ იფიქროთ, ძალიან მდიდარია. რისი საშუალებაც აქვს, იმას აკეთებს. მთავარი ყურადღებაა. მის პატარა შვილს ლევანი ჰქვია და მასაც ვიცნობთ“,** — გვიამბობს ქალბატონი ნათელა და ერთ საინტერესო შემთხვევასაც იხსენებს — ერთ ქალბატონს, გარდაცვლილი შვილი, გიორგი უნახავს სიზმარში. თითქოს, უთხრა, კათარზისში ბებიებთან ერთად ვისადილეო. მას შემდეგ, წლებია, დედა, შვილის სახელზე, ყოველი თვის 26 რიცხვში, დიდი სანოვაგით მიდის კათარზისში. ბებიები სანთელს ანთებენ და გიორგის შესანდობარს სვამენ. სამამულო ომის ვეტერანი ქალბატონი ეთერი კი, სამხედრო ჰოსპიტალში გარდაიცვალა. კათარზისში ყოფნისას, მას ძმიშვილი პატრონობდა, რომელიც დააპატიმრეს. „უპატრონოდ“ დარჩენილ გარდაცვლილს კი, ზაურ ალადაშვილმა უპატრონა — სათნოების სახლის პატარა სამლოცველოში დაასვენა, შემოსავლელში კი, მისი სურათი დადეს, წარწერით: „ხალხისგან მივიწყებული, ღმერთმა გულში ჩაიხუტა“.

სათნოების სახლის მკვიდრი მეორე ქალბატონი ვინაობას არ გვიმხელს, მაგრამ თავის ისტორიას, მოკლედ და გულახდილად გვიამბობს: **„ინჟინერი ვარ. მთელი ცხოვრება ვმუშაობდი. ჯერ ამინდის ბიუროში, მერე საქწყალპროექტში. ბინებიც დავკარგე, აგარაკიც. შვილი, ცოლ-შვილთან ერთად ვაკეში ცხოვრობს, მეუღლის ბინაში, სიდედრ-სიმამრთან. იქ ვერ წამიყვანს. კარგი, პატიოსანი ბიჭია, მაგრამ ბოლოს ფეხბურთის თამაშებზე ფულის დადებას მიჰყო ხელი და ბინები რიგრიგობით დავკარგეთ. ბედნიერებაა, აქ რომ მოვხვდი“.**

მოხუცთა თავშესაფრის ხელმძღვანელი **მაია ალადაშვილი** გვეუბნება, რომ „კათარზისს“ მეოთხე სართულზე ჰოსპისის გაკეთება სურს: **„ახლა გვყავს მოხუცები, რომლებსაც თავისმოვლა შეუძლიათ. მწოლიარეს ვერ მივიღებთ — არც ადგილი გვაქვს და ვერც მომვლელებს დავუქირავებთ. იქნებ, მეოთხე სართულზე, ჰოსპისი გავხსნათ და ისეთი ავადმყოფებიც მივიღოთ, უკანასკნელ წუთებს რომ ითვლიან. მათ ოჯახურ გარემოს შევუქმნით. თუ ეს გავაკეთეთ, ჩავთვლით, რომ ჩვენი მისია შესრულებულია. ამისთვის დიდი თანხაა საჭირო და კარგი იქნებოდა, სახელმწიფო რაღაც ნაწილით მაინც შეგვეწიოს“.**

# რას ნატრობს „400-ევროიანი თაობა“ საბერძნეთში

ნათია ნოდია

**ხათუნა ხახუტაშვილი 14 წელია საბერძნეთის ქალაქ სალონიკში ცხოვრობს. გაჭირვებული თანამემამულეების შემხედვარეს გული სტკივა და იმ დღეზე ოცნებობს, როცა ქართველობას ლუკმაპურის საშოვნელად უცხოეთში გადახვეწა არ მოუწევს. არ კარგავს იმედს, რომ ოდესმე დაბრუნდება. ყველაფრის მიუხედავად, უნიკალური ერი ვართ, იქით უნდა გვბაძავდნენო, — ამბობს ამაყად და სამშობლოსმოწყვეტილი ემიგრანტების ყოფაზე გვიამბობს.**



— ორი მცირეწლოვანი შვილით მომიწია საბერძნეთში ჩასვლა. ბავშვები გზაში ტიროდნენ. არც მე ვიყავი კარგ განწყობაზე. სამშობლოში დედას, ნათესავებსა და მეგობრებს ვტოვებდი, საბერძნეთში კი, მეუღლე მელოდებოდა, რომელიც იქ ჩვენზე ადრე ჩავიდა და დამკვიდრდა. მეორე ბავშვი არც კი ენახა. პატარებს მამასთან შეგუებაც გაუჭირდათ. ჩემი მეუღლე საქართველოში დაბადებულ- გაზრდილი ბერძენია. მასაც ბევრი დაბრკოლების გადალახვა მოუხდა. ეგონა, ენა იცოდა, თუმცა იქაური ბერძნები მაინც განსხვავებულად საუბრობენ. სხვათა შორის, ნაციონალები არიან — გისაყვედურებენ, ბერძნულად რატომ არ საუბრობო. განსაკუთრებით არ მოსწონთ რუსული და არც ქართულად ლაპარაკს გპატიობენ.

**— იქნებ ამის მიზეზი ბოლო დროს ქართველების შერყეული რეპუტაციაა?**

— არ არის გამორიცხული... მით უფრო, ოთხი წლის წინ, აქ ჩამოსულმა ჩვენმა თანამემამულემ ცნობილი მომღერალი მოკლა. რეპუტაცია კი იმდენად შეგველახა, ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში, სუპერმარკეტებში წარწერები გაჩნდა: „სირცხვილია, ქართველებო, ნუ მოიპარავთ!!!“ ბერძნებს უყვართ მოგზაურობა და ამის შესახებ იციან. პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან ჩამოდიან საბერძნეთში, თორემ აქაურებს გაქცევისკენ უჭირავთ თვალი. მოხუცებისა და ბავშვების მოსავლელად აჰყავთ სამსახურში ქართველები. სამი წლის წინ მათი ანაზღაურება 600-800 ევრო იყო, ბოლო დროს კი მიხვდნენ, გასაქცევი არსად გვაქვს და 400 ევროს იხდიან მხოლოდ. ამ ვითარებაში მყოფ საზოგადოებას, პირობითად, 400-ევროიანი თაობა შეარქვეს. ადრე, საბერძნეთში ცხოვრების უფლებას გაცილებით მარტივად მიიღებდი. ახლა მიხვდნენ, ყალბი მოწმობები ბევრმა გაიკეთა და ყველაფერი გართულდა. ამას გარდა, კიდევ ერთი პრობლემაა, რასაც ჩვენი თანამემამულე აწყდება: ზოგჯერ საქართველოში უნდა დაბრუნება, ვერ აგროვებს სათანადო საბუთებს და იძულებულია, მონური ხვედრი ისევ გაიზიაროს, თანაც, ვინ იცის, სადამდე. ფაქტობრივად, საშოვარზე გამოშვებული ქართველი ქალებისთვის თაობა იკარგება, რადგან ხშირად ტოვებენ არასრულწლოვან შვილს და ხვდებათ უკვე შვილიშვილიც. თან დღეს ვითარება შეცვლილია — ადრე თვალდახუჭული ენდობოდნენ ქართველებს, დღეს აღარ. ქალებმა კი შეინარჩუნეს იმიჯი, მაგრამ კაცებს ეჭვით უყურებენ.

**— დიასპორას რა პრობლემები აქვს?**

— ნელ-ნელა პატარავდება. ადრე უფრო ხშირად ვიკრიბებოდით, ახლა ბევრი ვერ იცლის. კაპიკს კაპიკზე აწებებენ, რომ საქართველოში ოჯახს გაუგზავნონ. შურმაც იჩინა თავი — ადრე თუ ერთმანეთს ხელს უწყობდნენ, დღეს საქმეს უფუჭებენ. მიუხედავად ამისა, სულ მახსენდება სიტყვები: „სხვისი მისაბაძი რა გვჭირს, თვარა კი...“ უბრალოდ, ჩვენი ხალხი სოციალურმა პრობლემებმა გატეხა.. აუცილებლად მოვა დრო და დაკარგულ თავმოყვარეობას დავიბრუნებთ.

# სუდოკუმანია

## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 7 | | 6 | 5 | | |
| | 1 | | | 9 | | | 6 | 3 |
| | | 4 | | | 1 | | | |
| | 7 | 2 | | | 3 | 4 | | 6 |
| | | | | 6 | | | | |
| 8 | | 6 | 4 | | | 3 | 1 | |
| | | | 9 | | | 2 | | |
| 3 | 4 | | | 5 | | | 7 | |
| | | 8 | 3 | | 7 | | | |

## სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 2 | 9 | | | | | | 1 |
| 7 | | | | | | | | |
| | | | 2 | 1 | 9 | 8 | | |
| 6 | | | | 5 | | | 8 | 2 |
| | 3 | | | 9 | | | 5 | |
| 1 | 5 | | | 3 | | | | 7 |
| | | 1 | 5 | 6 | 7 | | | |
| | | | | | | | | 8 |
| 3 | | | | | | 7 | 4 | |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | 6 | | | |
| | 6 | 5 | | 3 | | | 9 | 8 |
| | 4 | | 1 | | | | 6 | |
| | 3 | 9 | | | | | | 4 |
| | | 8 | | | | 6 | | |
| 2 | | | | | | 3 | 1 | |
| | 2 | | | | 5 | | 4 | |
| 6 | 1 | | | 8 | | 5 | 3 | |
| | | | 7 | | | | | |

## ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | 9 | 4 | |
| 4 | | | | 8 | | | | 5 |
| | 7 | | 6 | | | | 1 | 8 |
| | | 2 | 4 | | | | | 1 |
| | 8 | 1 | | 3 | | 4 | 6 | |
| 6 | | | | | 8 | 7 | | |
| 5 | 3 | | | | 2 | | 7 | |
| 1 | | | | 4 | | | | 3 |
| | 9 | 4 | | | | | | |

# მავნე ჩვევების დაძლევაში ბანანი დაგეხმარებათ



სპეციალისტებმა გამოკვლევა ჩაატარეს, რომლის დროსაც ბანანის გასაოცარი და სასარგებლო თვისებები გამოავლინეს. ახლა სავსებით ცხადი გახდა, რომ ეს პროდუქტი შეგვიძლია ნებისმიერ დიეტაში ჩავრთოთ. თუმცა, მთავარი ის არის, რომ ეს ტროპიკული ხილი ადამიანს ისეთი მავნე ჩვევების დაძლევაში დაეხმარება, როგორიც მაგალითად, მოწევაა. ამასთან, იგულისხმება არა მხოლოდ ნიკოტინზე დამოკიდებულება, არამედ მარიხუანაც. საქმე ის არის, რომ ბანანში ბევრი ტრიფტოფანია და როცა ორგანიზმი მას ითვისებს, წარმოიქმება კინურენის მჟავა. ექსპერტებმა დადებითად შეაფასეს ამ მჟავას შესაძლებლობები და მათი დასკვნებით, მისი გამოყენება სერიოზული დამოკიდებულებების დროს თავისუფლად შეიძლება. მერილენდის უნივერსიტეტის მკვლევარებმა შეძლეს იმის დამტკიცება, რომ კინურენის მჟავას ზოგიერთი თვისება გარკვეული გზით მოქმედებს ტვინზე და შეუძლია ადამიანის მარიხუანაზე დამოკიდებულება შეასუსტოს. ლაბორატორიული ცდები მაიმუნებსა და მღრღნელებზე ჩატარდა. აღმოჩნდა, რომ კინურენის მჟავა კანაფში შემავალ იმ ნივთიერებაზე ზემოქმედებს, რაც შეჩვევას იწვევს. სწავლულები მიიჩნევენ, რომ მომავალში სიგარეტზე ან მარიხუანაზე დამოკიდებულებას პრეპარატებით კი არა, სპეციალური დიეტით შეებრძოლებიან, რომელიც ტრიპტოფანით იქნება გამდიდრებული. თუმცა, მკვლევარები მსურველებს აფრთხილებენ, რომ ახლავე ნუ შეუდგებიან ბანანით ან სხვა პროდუქტით მავნე ჩვევებთან ბრძოლას, რადგან კვლევები ჯერ დასრულებული არ არის და პირველადი შედეგები შემდგომ დაზუსტებას მოითხოვს.

# გამრავლებისუნარიან რობოტებს შექმნიან



ნორვეგიელმა სპეციალისტებმა ოსლოს უნივერსიტეტიდან შექმნეს რობოტი, რომელსაც დამოუკიდებლად არა მხოლოდ გადაადგილება და დასახული ამოცანების შესრულება შეეძლება, არამედ გამრავლებასაც „მოახერხებს". რობოტი სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით შეიქმნა, რომელიც რობოტიზებული მოწყობილობების პროექტირებისთვის გამოიყენება. ახალი „ჭკვიანი მანქანის" ავტორები აცხადებენ, რომ რობოტებს მომავალში ავტონომიურად შეეძლებათ ნებისმიერი დავალების შესრულება, მაგალითად მიწისქვეშ ანდა კოსმოსში, სადაც ადამიანი ვერ შეძლებს მუშაობას. წარმოიდგინეთ ასეთი სიტუაცია — რობოტი უახლოვდება დანგრეულ ატომურ ელექტროსადგურს, მიდის გარკვეულ ადგილამდე და შემდეგ ველარ გადაადგილდება თავისი გაბარიტების გამო. ახალ რობოტს შეეძლება სულ ადვილად გაუშვას გარკვეული პროგრამა და სამგანზომილებიან პრინტერზე უფრო მცირე ზომის „საკუთარი თავი" დაბეჭდოს. დარჩენილი ამოცანის შესრულებას უკვე ახალი „ჭკვიანი მანქანა" შეძლებს, — გვიხსნიან მეცნიერები.

# იტალიაში ცათამბჯენ სასაფლაოს ააშენებენ



აპენინებზე, რომეოსა და ჯულიეტას ქალაქში — ვერონაში ხელისუფლება გეგმავს, იტალიაში პირველი ვერტიკალური სასაფლაო მოაწყოს. პროექტის მიხედვით, შენობის 33 სართულზე 24 ათასი საფლავის მოწყობა იქნება შესაძლებელი. ცნობილია, რომ ასეთი უჩვეულო ობიექტის აშენების გადაწყვეტილება იმის გამო მიიღეს, რომ ქალაქში „ჰორიზონტალური" სასაფლაოებისთვის ადგილი, პრაქტიკულად, აღარ დარჩა. ადგილობრივმა ჩინოვნიკებმა უკვე მოიწონეს ფირმა Cielo Infinito-ს მიერ წარდგენილი პროექტები. აქ მოხდება როგორც გარდაცვლილის ფერფლის, ასევე ნეშტის კუბოთი დამარხვაც. შესაძლებელია ოჯახური სამარხის მოწყობაც. აღსანიშნავია, რომ მსოფლიოში ნელ-ნელა ვრცელდება ასეთი „ვერტიკალური სასაფლაოები". ამომავალი მზის ქვეყანაში, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ასეთი რამდენიმე შენობაა. ამჟამად ინდოეთში შენდება მრავალსართულიანი სასაფლაო Moksha tower, ასეთი შენობა არსებობს ბრაზილიაშიც. ახლა ევროპაც დგამს ამ ნაბიჯს — შარშან ნორვეგიაში წარადგინეს უკანასაკნელი განსასვენებლის მსგავსი პროექტი, რიგში იტალიაა.

# წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 7 | 1 | 4 | 8 | 6 | 9 | 5 | 3 |
| 9 | 8 | 6 | 2 | 3 | 5 | 1 | 4 | 7 |
| 5 | 4 | 3 | 1 | 9 | 7 | 2 | 6 | 8 |
| 8 | 3 | 4 | 7 | 2 | 1 | 6 | 9 | 5 |
| 1 | 5 | 7 | 6 | 4 | 9 | 8 | 3 | 2 |
| 6 | 2 | 9 | 3 | 5 | 8 | 7 | 1 | 4 |
| 4 | 6 | 8 | 9 | 7 | 3 | 5 | 2 | 1 |
| 7 | 1 | 2 | 5 | 6 | 4 | 3 | 8 | 9 |
| 3 | 9 | 5 | 8 | 1 | 2 | 4 | 7 | 6 |

## სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 4 | 6 | 9 | 5 | 2 | 7 | 1 | 8 |
| 2 | 1 | 9 | 8 | 6 | 7 | 4 | 5 | 3 |
| 5 | 8 | 7 | 1 | 4 | 3 | 2 | 9 | 6 |
| 9 | 2 | 8 | 7 | 3 | 1 | 6 | 4 | 5 |
| 4 | 7 | 5 | 2 | 9 | 6 | 3 | 8 | 1 |
| 1 | 6 | 3 | 5 | 8 | 4 | 9 | 2 | 7 |
| 8 | 5 | 4 | 6 | 7 | 9 | 1 | 3 | 2 |
| 6 | 3 | 2 | 4 | 1 | 5 | 8 | 7 | 9 |
| 7 | 9 | 1 | 3 | 2 | 8 | 5 | 6 | 4 |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 8 | 7 | 5 | 4 | 3 | 2 | 1 | 9 |
| 5 | 9 | 4 | 2 | 1 | 8 | 7 | 6 | 3 |
| 1 | 3 | 2 | 9 | 7 | 6 | 5 | 4 | 8 |
| 7 | 4 | 6 | 3 | 2 | 9 | 1 | 8 | 5 |
| 8 | 2 | 5 | 7 | 6 | 1 | 9 | 3 | 4 |
| 3 | 1 | 9 | 8 | 5 | 4 | 6 | 7 | 2 |
| 4 | 7 | 3 | 1 | 9 | 2 | 8 | 5 | 6 |
| 2 | 6 | 1 | 4 | 8 | 5 | 3 | 9 | 7 |
| 9 | 5 | 8 | 6 | 3 | 7 | 4 | 2 | 1 |

## ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 9 | 7 | 6 | 4 | 3 | 1 | 8 | 2 |
| 2 | 3 | 8 | 7 | 5 | 1 | 9 | 6 | 4 |
| 6 | 1 | 4 | 2 | 9 | 8 | 7 | 3 | 5 |
| 3 | 6 | 1 | 4 | 8 | 2 | 5 | 9 | 7 |
| 9 | 8 | 5 | 3 | 1 | 7 | 2 | 4 | 6 |
| 7 | 4 | 2 | 9 | 6 | 5 | 3 | 1 | 8 |
| 1 | 5 | 9 | 8 | 7 | 6 | 4 | 2 | 3 |
| 4 | 2 | 6 | 5 | 3 | 9 | 8 | 7 | 1 |
| 8 | 7 | 3 | 1 | 2 | 4 | 6 | 5 | 9 |

მე-9 გვერდი: 1. მუნდირი; 2. მუსკატი; 3. მოლბერტი; 4. ნანსენი; 5. იმედი; 6. ირისი; 7. მეგალომანია; 8. სელი; 9. „აკაი"; 10. ინია; 11. პლანშეტი; 12. ნორმანები; 13. ფაკულტეტი; 14. სენა; 15. აგულიასი; 16. ილი; 17. „ეგარი"; 18. ელი; 19. ალე; 20. ურობილინი; 21. იანგული; 22. ბენეფისი; 23. ოდა; 24. იმერეთი; 25. ორაგული; 26. რონა; 27. სბირი; 28. მალარია; 29. ტრიკონი; 30. იარალი; 31. ბოტფორტი; 32. რქა; 33. „პაჯერო"; 34. გობი; 35. ისარი; 36. მი; 37. ალია; 38. ამადუ; 39. ოტია; 40. პირსი; 41. ანი; 42. ტანკი; 43. აფთარი; 44. აყირო; 45. ვაზა; 46. ლილვი; 47. ნები; 48. ბერე; 49. უთო; 50. ლოუ; 51. ყაჯარი; 52. ტაბლა; 53. ათი; 54. რიონი; 55. ასი; 56. იაგო; 57. არი; 58. კილი; 59. ატენი; 60. იო; 61. ენზიმი; 62. სი; 63. კუ; 64. ძუ; 65. ლაილაი; 66. ლიმა; 67. გონიო; 68. ჰიგია; 69. ჰაიტი.

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.

# ფონდმა „სიცოცხლის ხემ" უსინათლოებისთვის სპეციალური ვებგვერდი დააფინანსა

ხმოვანი ვებგვერდი უსინათლოებისთვის, უკვე ქართული ინტერნეტსივრცის რეალობაა — ფონდ „სიცოცხლის ხის" დაფინანსებით, ორგანიზაციამ „ახალგაზრდული მოძრაობა თანაბარი შესაძლებლობებისთვის" სპეციალური პორტალი, ინფორმაციული ტექნოლოგიების სწავლების პროგრამა შექმნა. ვებპორტალზე (www.cvd.ge) განთავსებულია სპეციალური კომპიუტერული პროგრამები, ელექტრონული წიგნები და სხვადასხვა საინტერესო მასალები, მცირემხედველებისა და უსინათლოთათვის ხელმისაწვდომი ფორმით. აქვეა შექმნილი ფორუმი უსინათლოებისთვის, რომლის საშუალებითაც, ადამიანებს ექნებათ შესაძლებლობა, ისაუბრონ მათთვის საინტერესო თემებზე.

„სიცოცხლის ხის" დირექტორის, თორნიკე გურულის განმარტებით, პროექტის მიზანია უსინათლოებისთვის საინფორმაციო ტექნოლოგიების შესწავლის ხელშეწყობა მათთვის ხელმისაწვდომი ფორმით. პროექტის ფარგლებში ასევე შეიქმნა ბრაილის შრიფტით გამოცემული ხმოვანი სინთეზატორის სახელმძღვანელო და გაკეთდა მისი აუდიოვერსიაც, რათა უსინათლოებმა სმენით შეისწავლონ კომპიუტერული პროგრამები.

„ახალგაზრდული მოძრაობა თანაბარი შესაძლებლობებისთვის" წარმომადგენლის, ნანა ბრეგვაძის განმარტებით კი, პროექტის შედეგად შექმნილი სახელმძღვანელო №202 უსინათლოთა სკოლა-პანსიონში დაინერგება, როგორც დამატებითი სახელმძღვანელო. ამ სკოლაში, ინფორმატიკის პედაგოგები, აღნიშნული სახელმძღვანელოს მიხედვით, უკვე გადაამზადეს.

**ნანა ბრეგვაძე: „ბედნიერი ვარ, რომ ვცხოვრობ საქართველოში, სადაც „საქართველოს ბანკის" „სიცოცხლის ხე", ასეთ კარგ პროექტებს ახორციელებს და ყველაფერს აკეთებს, რათა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს ადაპტირებული გარემო შეუქმნას. ჩვენს ორგანიზაციას აქვს პროექტი — „უსინათლო მომხმარებლისთვის საინფორმაციო ტექნოლოგიების ხელშეწყობა". მის ფარგლებში მომზადდა ვებგვერდი, რომლის მეშვეობითაც, უსინათლო მომხმარებელი საინფორმაციო ვაკუუმში აღარ იქნება. ამ პორტალზევე შეიქმნა უსინათლო მომხმარებელთა კლუბი, რომელიც გააერთიანებს საქართველოში და მის ფარგლებსგარეთ მყოფ უსინათლო ადამიანებს, მათ ურთიერთობისა და დაახლოების საშუალებას მისცემს".**




შშმ პირების მხარდაჭერა, „სიცოცხლის ხის" ერთ-ერთი პრიორიტეტია. მიმდინარე წლის განმავლობაში, ამ მიმართულებით, ფონდმა არაერთი პროექტი განახორციელა. „სიცოცხლის ხის" დირექტორმა, თორნიკე გურულმა 2014 წლის ანგარიშიც წარმოადგინა და ფონდის დაფინანსებით მიმდინარე თუ დასრულებული სოციალური პროექტების შესახებაც ისაუბრა.

**თორნიკე გურული: „1 წლის წინ, როცა ფონდ „სიცოცხლის ხის" ახალ მიმართულებებზე დაიწყო მსჯელობა, ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად შშმ ბავშვების თემა ავირჩიეთ. 2014 წლის განმავლობაში, ჩვენი პრიორიტეტები გარემოს დაცვა და განათლების ხელშეწყობაც იყო. წარმატების მიღწევაში ყველაზე მეტად ჩვენი ძირითადი ღირებულებები დაგვეხმარა. გულისხმიერება, სოლიდარობა, პასუხისმგებლობა, შედეგზე ორიენტირება და გამჭვირვალობა ჩვენი ფონდის ძირითადი ფასეულობებია. ფონდმა შშმ ბავშვების მხარდასაჭერად 2014 წელს 2 საგრანტო კონკურსი გამართა, რომელთა ფარგლებშიც დააფინანსა 26 პროექტი. ჯამში, 1 600 000 ლარამდე თანხა დახარჯა განათლების, გარემოს დაცვისა და შშმ ბავშვების მხარდასაჭერად. ფონდმა ასევე, ინდივიდუალური პირების 13 სხვადასხვა პროექტი განახორციელა და 300 შშმ ადამიანს ეტლი გადასცა. რაც მთავარია, ჩვენმა პროექტებმა მოიცვა სრულიად საქართველო და აფხაზეთშიც ჩააღწია — „ეტლების აქციის" ფარგლებში, ეტლები, შშმ პირებს სოხუმსა და გალშიც გავუგზავნეთ. დაახლოებით 50 ათასმა ადამიანმა ისარგებლა ჩვენი სხვადასხვა პროექტით. ცოტა ხნის წინ, ერთ-ერთი უცხოური დონორი ორგანიზაციის წარმომადგენელმა მითხრა, რომ ფონდმა „სიცოცხლის ხემ" საქართველოში პატარა რევოლუცია მოახდინა — გამოჩნდა პირველი ქართული დონორი ორგანიზაცია, რომელმაც დაიწყო არასამთავრობოების, საინიციატივო ჯგუფების... დაფინანსება, ვისაც აქვს იდეა და სურს, გარემო უკეთესობისკენ შეცვალოს. მოხარული ვარ, ეს სტატუსი რომ მივიღეთ — „რევოლუციური ფონდი", რომელმაც შეძლო, გაეკეთებინა საქართველოში ისეთი რამ, რაც აქამდე სხვამ ვერ შეძლო".**

თორნიკე გურულმა მადლობის სიგელებით ყველა იმ ორგანიზაციისა თუ საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლები დააჯილდოვა, რომლებთან ერთადაც „სიცოცხლის ხემ" სხვადასხვა პროგრამა უკვე განახორციელა. სპეციალური პრიზი — 2014 წლის „სიცოცხლის ელჩის" სტატუსი კი, მიანიჭეს მაკა ნათელაურს — „სიცოცხლის ხემ", მიმდინარე წელს, მისი წიგნი „სინათლის სვეტი" გამოსცა. მასში 16 მოთხრობაა შესული, რომლებიც ავტორმა სხვადასხვა აქტუალურ თემას, ძირითადად კი, შშმ და მძიმე სენით დაავადებულ პირთა პრობლემებს მიუძღვნა.

„სიცოცხლის ხე" ტრადიციას არც გაისად ულალატებს — თორნიკე გურულის განცხადებით: **„2015 წლისთვის, ფონდის პლატფორმა ხელმისაწვდომი იქნება ყველასთვის, მათ შორის კერძო კომპანიებისთვის, ვისაც აქვს სურვილი განახორციელოს მდგრადი სოციალური პროექტები".**

*ნინო ლურსმანაშვილი*


# დაცვის პოლიცია მომხმარებელს სთავაზობს ავტომობილების GPS-GPRS მონიტორინგს

125 დაცვის პოლიცია

GPS-ის სისტემა მანქანის მფლობელს აძლევს საშუალებას, ცოცხალ – LIVE-რეჟიმში განსაზღვროს სატრანსპორტო საშუალების ადგილმდებარეობა, აკონტროლოს გადაადგილების ტრაექტორია და მართოს სატრანსპორტო საშუალებების მარშრუტები და გრაფიკები. უწყვეტ რეჟიმში და ყველაზე ოპერატიულად მიიღოს ინფორმაცია სახლიდან, ოფისიდან გაუსვლელად ინტერნეტის საშუალებით.







GPS-ის მომხმარებელს შეუძლია:

- მანქანის ადგილმდებარეობის, სიჩქარის, გავლილი ტრაექტორიის, მოძრაობის დროის, ძრავის მდგომარეობის (ჩართული/გამორთული) LIVE მონიტორინგი;
- გავლილი მარშრუტის ისტორიის დათვალიერება დღის, თვის, მოძრაობისა და დროის მიხედვით;
- განვლილ პერიოდში მაქსიმალური სიჩქარისა და მანძილის დაფიქსირება;
- სტატისტიკის ამოღება;
- მანქანის დაძვრა-გაჩერების ისტორიის ნახვა;
- საწვავის კონტროლი;
- საკონტროლო ფუნქციების ოპტიმიზაცია.

**GPS-GPRS სისტემის გამოყენებით დაზოგავთ დროსა და თანხას, რაც მნიშვნელოვანია თქვენი ბიზნესისთვის.**

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით დაცვის პოლიციის საინფორმაციო სამსახურს 125 (ზარი უფასოა).

SECURITY POLICE 125 SECURITY POLICE 125

www.125.ge